

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური

სამეცნიერო ჟურნალი

„Scripta manent“

საქართველო

№ 2 (50)

2021

ჟურნალი დაფუძნებულია
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

Multilingual Reviewing International Scientific Magazine
Международный рецензионный мультилингвальный научный журнал

„Scripta manent“

GEORGIA

ГРУЗИЯ

№2 (50)

2021

OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION

АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1987-7390
UDK (უაკ) 81+82
S-41

სარედაქციო კოლეგია:

მაია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

რედაქციის წევრები:

ვიტა ჟურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუპი, კულაშუ ხეიბიტოვა, სილვია ბოტეა, ტანია ბრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, მარია მიხაილოვა, ტატიანა მებრელიშვილი, ალბა ბრანციანო, ალესანდრა სპაღაფორა, გიორგი ყუფარაძე, რუსუდან ბოცინიძე.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. №77, კორპუსი VI, სართული VIII
E-mail. : r. tabukashvili@gmail. com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail. ru

scripta.manentmagazine@gmail. com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიბლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:
[www. odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

Editorial Board:

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck,
Kulpash Beibitova, Tania Grieskhammer, Ketevan Gabunia, Maria Mikhailova,
Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze, Rusudan Gotsiridze.

Address: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

Редакционная коллегия:

Майя Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук,
Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Мария Михайлова,
Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе,
Русудан Гоциридзе.

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

რედაქციისაბან

„Scripta manent“ საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგუური სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც აქვეყნებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს. ამას გარდა, იგი ადგილს უთმობს რეცენზიებს, თარგმანებსა და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით ნაშრომს.

პროფესიონალთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებს.

ჟურნალი რეცენზირებადია, უარყოფითი რეცენზიით ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება. ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და იტალიური.

სარედაქციო კოლეგიის წევრები მოღვაწეობენ საქართველოს (თბილისი), გერმანიის (ბოხუმი, ბერლინი), რუსეთის (მოსკოვი), ყაზახეთის (ასტანა), ბულგარეთის (სოფია) და იტალიის (ტუშა) უნივერსიტეტებში.

სარჩევი

ფილოლოგია

ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია

ფრანგული ჩურჩულა [ჟ]-ს ფონოლოგიური განუსაზღვრელობის პრობლემა.....10

რუსუდან გოცირიძე

ოქსიმორონი როგორც ცხოვრების სირთულეებისა და ირონიის ანარეკლი.....15

რუსუდან თაბუკაშვილი

მეტაფორა – სამედიცინო ტერმინოლოგიის კონცეპტუალიზაციის ერთ-ერთი ხერხი (გერმანული ენის სამედიცინო ტერმინოსისტემის მასალაზე).....19

მარინე კობეშავიძე, ნინო ჭრიკიშვილი

განმანათლებლობა ესპანეთში.....24

მარინე კობეშავიძე, ნინო ჭრიკიშვილი

ჟარგონის როლი ესპანელი ახალგაზრდების მეტყველებაში30

ხათუნა წიკლაური

სემუელ ბეკეტი - ორმოცდაათიანი წლების ავანგარდიზმის წარმომადგენელი.....35

ჩიქვინიძე ია

ფრანგული ენა და ფრანკოფონული ქვეყნები.....41

მაია ჯავახიძე

პოეტური კონცეპტუალური მეტაფორისათვის (ჯორჯო კაპრონისა და ეუჯენიო მონტალეს ლექსების მაგალითზე).....45

ნინო ჯოსხაძე

დიქტატურა მარიო ვარგას ლიოსას შემოქმედებაში.....53

Contents

Philology

Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia

The Problem of the Phonological Uncertainty of the French Whispered Vowel [ə]..... 10

Rusudan Gotsiridze

Oxymoron - Reflection of the Complexities and Ironies of Life..... 15

Rusudan Tabukashvili

Metaphor - One of the Ways of Conceptualizing Medical Terminology (On the material of the German language medical terminology system) 19

Marine Kobeshavidze, Nino Chrikishvili

Enlightenment in Spain..... 24

Marine Kobeshavidze, Nino Chrikishvili

The Role of Jargon in the Speech of Spanish Youth..... 30

Khatuna Tsiklauri

Samuel Beckett - is a Representative of the Avant-Garde of the Fifties..... 35

Ia Chikvinidze

French and Francophone Countries 41

Maia Javakhidze

Toward the Poetic Conceptual Metaphor..... 45

Nino Jokhadze

Dictatorship in Mario Vargas Llosa's Creative Works..... 53

Содержание

Филология

Циури Ахвледиани, Кетеван Габуня

Проблема фонологической неопределенности французского беглого [ə] 10

Русудан Гоциридзе

Оксюморон как отражение жизненных трудностей и иронии 15

Русудан Табукашвили

Метафора – одна из способов концептуализации медицинской терминологии
(на материале медицинской терминосистемы немецкого языка) 19

Марине Кобешавидзе, Нино Чрикишвили

Просвещение в Испании 24

Марине Кобешавидзе, Нино Чрикишвили

Роль жаргона в речи испанской молодежи 30

Хатуна Циклаури

Сэмюэл Беккет – представитель авангардизма 50-х годов XX века 35

Ия Чиквинидзе

Французский язык и франкоязычные страны 41

Майя Джавахидзе

К поэтической концептуальной метафоре 45

Нино Джохадзе

Диктатура в творчестве Марио Варгаса Лиосы 53

ფილოლოგია

Philology

Филология

ფრანგული ჩურჩულა [ჟ]-ს ფონოლოგიური განუსაზღვრელობის პრობლემა

ციური ახვლედიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ქეთევან გაბუნია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 599 201 099
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

რეზიუმე

ფრანგული ხმოვანი ჩურჩულა [ჟ], სხვადასხვა დონეზე განუსაზღვრელობითა და არამდგრადობით ხასიათდება; მისი ფონემური კუთვნილების დადგენისათვის აუცილებელია განსაკუთრებულ ფონოლოგიურ პროცედურათა გამოყენება. სტატიაში წარმოდგენილია იმ კვლევათა მოკლე ლინგვისტური მიმოხილვა, რომლებიც ეძღვნება ფრანგულ [ჟ]-ს და ასევე მოცემულია ამ ხმოვნის ფონოლოგიური სტატუსის გამოსავლენად სპეციალურად ჩატარებული პერცეფციული ექსპერიმენტის შედეგები. ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით, გამოვლენილია ჩურჩულა [ჟ]-ს დამოუკიდებლობა და ენის სისტემაში, ენის მატარებელთა თვალსაზრისით, მისი შეპირისპირების ხარისხი ფონემებთან [ჲ] და [ჟ].

საკვანძო სიტყვები:

ფონოლოგიური სტატუსი, ჩურჩულა [ჟ], ხმოვნის არამდგრადობა, პერცეფციული ექსპერიმენტი.

შესავალი

ფრანგული ხმოვანი ჩურჩულა [ჟ], სხვადასხვა დონეზე, ხასიათდება განუსაზღვრელობითა და არამდგრადობით; მისი ფონემური კუთვნილების დადგენისათვის აუცილებელია განსაკუთრებულ ფონოლოგიურ პროცედურათა გამოყენება: I. უნდა განისაზღვროს ჩურჩულა [ჟ]-ს ფონოლოგიური სტატუსი და ფონეტიკური თვისებები (მახასიათებლები); II. უნდა დავადგინოთ სეგმენტ [ჟ]-ს აღქმის მონაცემები ფრანგული ენის მატარებელთათვის.

ძირითადი ნაწილი

I. ფრანგული ჩურჩულა [ჟ]-ს ფონოლოგიური სტატუსი და ფონეტიკური თვისებები (მახასიათებლები)

ამჟამად ჩურჩულა [ჟ], მისი ფონემური სტატუსის განუსაზღვრელობის თვალსაზრისით, წარმოადგენს ფრანგული ენის ფონოლოგიური სისტემის სუსტ წერტილს, ნულ ბგერასთან მონაცვლეობის თავისებურებებითა და აკუსტიკური და არტიკულატორული მსგავსებით სისტემის სხვა ორ ფონემასთან – [ჲ] და [ჟ]-სთან. ჩურჩულა [ჟ]-ზე აზრები და მსჯელობანი, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში, ურთიერთსაპირისპიროა: ლექსიკონებში და სახელმძღვანელოებში, ფონემატური ტრანსკრიფციით, ტრადიციულად მიჩნეულია განსაკუთრებული ნიშანი ამ ჩურჩულა ხმოვნის აღსანიშნავად – [ჟ], თუმცა ამასთანავე, არ დასტურდება ამ ფონემის განსაკუთრებულობა. ზოგჯერ, ავტორები მიუთითებენ, რომ ხმოვანი [ჟ] შეიძლება ჩაითვალოს ფონემა [ჲ]-ს რეალიზაციად (გორდინა, შიგარევსკაია). ხმოვანი [ჟ]-ს გასამიჯნად [ჲ] და [ჟ] ფონემებისაგან, არსებობს ისტორიული საფუძველი, რაც გვა-

ძლევს შესაძლებლობას, რომ ვილაპარაკოთ ეტიმოლოგიური [ჟ]-ს არსებობის შესახებ. არსებობს აზრი, რომ ფრანგულ ენაში, ისტორიულად, [ჟ] წარმოადგენდა განსაკუთრებულ ფონემას [Eychenne 2006]. დი-აქრონიული ანალიზი გვიჩვენებს ხმოვანი [ჟ]-ს რთულ დინამიკას ფრანგული ენის ევოლუციის მანძილზე, ასევე მის არაერთ-მნიშვნელოვან როლს ფონეტიკურ წყობაში. [ჟ]-ს ფუნქციონალური დატვირთვა მნიშვნელოვნად დაქვეითდა, რადგან ეს ელემენტი აღარ გამოიყენებოდა სიტყვის ბოლოში გრამატიკული ფორმის მაჩვენებლად, ასევე სიტყვის შიგნითაც [ჟ] ექვემდებარებოდა გამოტოვებას. ჩურჩულა [ჟ]-ს ხარისხობრივი სიახლოვე სხვა ხმოვნებთან ასევე მოწმობს მის შესუსტებულ როლს თანამედროვე ენაში: შესაძლებელია, მცირე ლინგვისტური დატვირთვის გამო, ხმოვან [ჟ]-ს აღარც სჭირდება ჰქონდეს საკმაო აკუსტიკური განსხვავება [ჟ] და [ჟ]-საგან და ის თანდათანობით შეიცვლება ამ ფონემებით (ზოგი ავტორი აიგივებს ეტიმოლოგიურ [ჟ]-ს [ჟ]-სთან [შიგარევსკაია, 1982], ან [ჟ]-სთან [Malécot Cholet 1977]).

როგორც ჩანს, ფრანგული ჩურჩულა ხმოვანი ფუნქციონალურად შესუსტდა თანამედროვე ენაში. მაგალითად, სტილისა და სხვა ფაქტორთა მიხედვით, [ჟ] მეტ-ნაკლებად ხშირად გამოიტოვება სიტყვისა და რიტმული ჯგუფის ბოლოში, ასევე სიტყვათა საზღვრებს შორისაც. მსგავს სიტუაციებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ხმოვანი არ არის სიტყვის ან მორფემის ბგერითი ფორმის აუცილებელი ელემენტი, მისი გამოტოვებით არ იცვლება სიტყვის აზრის აღქმა და აქედან გამომდინარე, ეს ხმოვანი აღარ ასრულებს კონსტიტუტიურ და დისტინქტიურ ფუნქციებს. თუმცა, დღემდე შემორჩენილია ენაში მცირე რაოდენობა იმ შემთხვევებისა, რომლებშიც [ჟ] ახორციელებს ფონემის ორივე ფუნქციას და ქმნის სიტყვათგანმასხვავებლურ ოპოზიციას: dors –

dehors [dɔr – dɔʁ], l'être – le hêtre [lɛtr – lætr]. ამ შემთხვევებში [ჟ] – არის ხმოვანი, ლინგვისტური დატვირთვით, სამეტყველო ჯაჭვის დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი სეგმენტი სიტყვათა შეცნობისა და განსხვავებისათვის. ცხადია, რომ ენის სისტემის სხვა ხმოვნებთან შედარებით, [ჟ] წარმოადგენს ნაკლებად დამოუკიდებელს, რადგანაც მისი გამოტოვება ხშირად არ იწვევს აზრის დამახინჯებას. ასევე ხშირად, ჩურჩულა [ჟ] ფლობს სრულყოფილი ხმოვნის გრძლიობას და ქმნის მარცვალს, ფრანგულ სილაბურ ლექსში კი, [ჟ]-ს შენარჩუნებით, შეიძლება აუცილებელი რიტმული სტრუქტურის შექმნა. ასევე ხმოვანი [ჟ] ფლობს ზოგიერთ ისეთ თვისებას, რაც საშუალებას იძლევა, რომ დავუპირისპიროთ ის სისტემის სხვა ხმოვნებს. გაურკვეველია, თუ რა ურთიერთობაშია [ჟ], აკუსტიკური და არტიკულაციური მახასიათებლებით, [ჟ] და [ჟ] ფონემებთან. იმისათვის, რომ დაგადასტუროთ ფრანგული [ჟ]-ს ფონოლოგიური დამოუკიდებლობა [ჟ] და [ჟ]-საგან, აუცილებელია ვიპოვოთ საანალიზო ერთეულებისათვის ერთნაირი ფონეტიკური პირობები როგორც გარემომცველ თანხმოვანთა თვალსაზრისით, ასევე მახვილთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც, მაგალითად, genou / jeunot / jeûner [ʒə'nu / ʒœ'no / ʒø'ne]. ასეთ არამრავალრიცხოვან კონტექსტებში, ეტიმოლოგიური [ჟ], [ჟ] და [ჟ] უპირისპირდებიან ერთმანეთს. თუმცა, ამ ხმოვანთა დამოუკიდებელ ფონემებად მიჩნევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისეთი ტიპის წყვილები, როგორებიცაა je dis / jeudi და de / deux არ წარმოადგენენ სრულ ფონეტიკურ ომონიმებს ენის მატარებელთათვის, ანუ როდესაც ხმოვანთა შორის განსხვავება, ერთსა და იმავე ფონეტიკურ კონტექსტებში, შეიცნობა სმენით. ობიექტურად, ნორმატიული ფრანგული წარმოთქმით, ხმოვანი [ჟ] ფლობს ისეთ ფიზიკურ ნიშნებს, რაც მას პოტენციალურად უპირისპირებს [ჟ]-სა და [ჟ]-ს, რაც დადასტურებულია სხვადასხვა

ინსტრუმენტალური კვლევებით. მაგალითად, ფრანგ და შვეიცარიელ ლინგვისტთა ჯგუფმა, უკანასკნელ ათწლეულში, თავიანთ ნაშრომებში, აღწერეს, რომ ფრანგულად მოლაპარაკეთა უმრავლესობა ამჟღავნებს აკუსტიკურ განსხვავებას [ə]-სა და [œ]-ს შორის და ასევე [ə]-სა და [ø]-ს შორისაც, თუმცა უდავოა, რომ ამ სამ ხმოვანთა რეალიზაციების სფერო გადაიკვეთებიან [Fougeron, Gendrot, Bürki, 2007]. ამ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ხმოვანი [ə], მომდევნო ორ ხმოვანს შორის, შუა პოზიციას იჭერს დიალის ხარისხითა და მომრგვალებულობით. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ენის მატარებელთა ერთი ნაწილი [ə]-ს წარმოთქვამს [ø]-დ და არცერთი არ წარმოთქვამს - [œ]-დ.

II. სეგმენტ [ə]-ს აღქმის მონაცემები ფრანგული ენის მატარებელთათვის

თუ გამოიყენება და რამდენად გამოიყენება არტიკულატორული და აკუსტიკური განსხვავება ხმოვნებს – [ə]-სა და [œ]-ს შორისა და ასევე [ə]-სა და [ø]-ს შორის ფრანგული ენის მატარებლების მიერ, ნიშნად ერთეულთა განსხვავებისათვის და აქედან გამომდინარე, [ə] წარმოადგენს თუ არა განსაკუთრებულ ფონემას, შეგვიძლია გავარკვიოთ მხოლოდ ენის მატარებელთა აღიარებითი ცნობიერების მიხედვით. ჩურჩულა [ə]-ს ფონეტიკურ და ფონოლოგიურ თვისებათა ექსპერიმენტალური მიზნით ჩატარებული ბოლო კვლევები დაახლოებით 40 წლის წინ შესრულდა და შედეგი ერთმნიშვნელოვანი არ იყო: ზოგისათვის [ə] წარმოადგენდა დამოუკიდებელ ფონემას, რომელიც სავსებით განსხვავდებოდა [œ]-სა და [ø]-საგან სმენით, ზოგისათვის კი - ასეთი ოპოზიცია არ არსებობდა [Dausès 1973; Pleasants 1956]. ცხადია, რომ ეს ხმოვანი ფრანგული ვოკალიზმისათვის ბიფურკაციის (ორად გაყოფის) წერტილს წარმოადგენს: გასულ

საუკუნეში და შეიძლება უფრო ადრეც, დაიწყო ფონემა [ə]-ს შემცველ ხმოვანთა სისტემიდან გადასვლა ისეთ სისტემაში, რომელშიც ეს ფონემა ჩამოშორებულ იქნას სხვა ფონემასთან შერწყმის გზით. ამჟამად, სახელდობრ რომელი ხმოვნისაკენ მიისწრაფვის [ə] და რა ადგილი უჭირავს მას ფონემათა სისტემაში, აუცილებელი გახდა ჩატარებულიყო განმეორებითი აუდიტორული ექსპერიმენტი. ასეთი სპეციალურად ორგანიზებული პერცეფციული ექსპერიმენტი ჩატარდა ფრანგული ენის მატარებელი 26 პირის მონაწილეობით. ექსპერიმენტის პროცედურისას გათვალისწინებული იყო ის აზრიც, რომ ენის მატარებლები ნორმალურად შეიცნობდნენ იმ ბგერებსაც, რომლებიც შეესაბამება ჩურჩულა [ə]-ს. ექსპერიმენტის მიზანი იყო გამოეკვლიათ, წარმოადგენს თუ არა ფრანგული ხმოვანი [ə] განსაკუთრებულ ფონემას, ან თუ არის ის [œ] და [ø] ფონემების ვარიანტი. ფრანგული ენის მატარებელთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სეგმენტ [ə]-ს არასტაბილური როლი აქვს ენაში, მაგრამ ამასთანავე შეიძლება განისაზღვროს ამ არასტაბილურობის ხასიათი და პროგნოზირებულ იქნეს მომავალში ამ ხმოვნის როლი ფრანგულ ვოკალიზმში. გამოკითხვის ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ 26 რესპოდენტიდან 12 რესპოდენტი [ə]-ს შეუსაბამებს [ø]-ს ყველა პოზიციაში. ასეთი შედეგის მიხედვით, სავარაუდოა, რომ არსებობს წარმოთქმის ნორმის განვითარების შემდეგი ტენდენცია: [ə] გაქრება ხმოვანთა სისტემიდან და შეერწყმება ფონემა [ø]-ს, როგორც აკუსტიკურ, ასევე ფუნქციონალურ პლანში, რადგან [ə]-სა და [ø]-ს შორის არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება მოლაპარაკისთვის. თუმცა ამჟამად, არ შეიძლება ვილაპარაკოთ სისტემიდან [ə]-ს სრული გაქრობის შესახებ, რადგან 26 რესპოდენტიდან 13-მა [ə] არ მიაკუთვნა არც [ø]-ს და არც [œ]-ს.

დასკვნა

ამგვარად, ფრანგული [ə]-ს ფონოლოგიური სტატუსის დადგენა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული, მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ მომავალში სიტუაცია შეიცვლება, რადგან შეინიშნება სისტემის განვითარების ტენდენცია [ə]-ს [ø]-სთან და [œ]-სთან შეპირისპირების პლანში. თუ ვიხელმძღვანელებთ [ə]-ს ტემბრალურ მახასიათებლებთან ბოლო ინსტრუმენტალური კვლევებით [Fougeron, Gendrot, Bürki 2007] და ასევე აუდიტორული ანალიზის შედეგებით, არ არის აუცილებელი, რომ ფრანგული ენის, როგორც უცხოური ენის სწავლებისას, მიუვითოთ [ə]-ს განსაკუთრებულ აკუსტიკურ და არტიკულაციურ მახასიათებლებზე სხვა ხმოვნებთან შედარებისას. ამასთანავე, სწავლების პრაქტიკაში, როგორც ჩანს, საჭიროა გაითვალისწინოთ, რომ დღესდღეობით [ə]-ს რეალიზაციები ყოველთვის არ თანაბრდება [œ]-ს რეალიზაციებთან, ყოველ შემთხვევაში, ყოველგვარ ფონეტიკურ პოზიციაში, რადგანაც აკუსტიკური პარამეტრებითა და აუდიტორთა შეფასებითაც, [ə], უმეტესად, უახლოვდება [ø]-ს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არის სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში ან [r]-ს შემდგომ მდებარეობაში. [ə]-ს ტემბრის უფრო ზუსტი შეფარდებისას სისტემის სხვა ხმოვნებთან, აუცილებელია ამ ხმოვანთა არტიკულაციების შემდგომი ანალიზი ერთსა და იმავე ფონეტიკურ კონტექსტებში, ფრანგული საწარმოთქმო ნორმის მატარებელთა მეტყველებაში.

ლიტერატურა

1. Гордина М. В. (1973): Фонетика французского языка. Ленинград
2. Шигаревская Н. А. (1982): Traité de phonétique française. Cours théorique. Москва
3. Dauses A. (1973): Études sur l'e instable dans le français familier. Tübingen
4. Eychenne J. (2006): Aspects de la phonologie

dans le français contemporain. Toulouse

5. Fougeron C., Gendrot C., Bürki A. (2007): On the acoustic characteristics of French schwa. Saarbrücken

6. Malécot A., Cholet G. (1977): The acoustic status of the mute-e in French // *Phonetica*. Vol. 34. N 1

7. Pleasants J.-V. (1956): Etude sur l'e muet. timbre, durée, intensité, hauteur musicale. Paris

The Problem of the Phonological Uncertainty of the French Whispered Vowel [ə]

Tsiuri Akhvlediani

Tbilisi State University

Faculty of Humanities

36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 508 607

E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Ketevan Gabunia

Tbilisi State University

Faculty of Humanities

36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 201 099

E-mail: keti_gabunia@yahoo.com

Abstract

On different levels the French whispered vowel [ə], is characterized by uncertainty and instability; Special phonological procedures must be used to determine its phonemic affiliation. The article presents a brief linguistic overview of studies dedicated to French [ə] and also the results of a perceptual experiment conducted specifically to determine the phonological status of this sound. According to the results of the experiment, the independence of whispered [ə] and the degree of its contrast with the phonemes [œ]

and [ø] in the language system, from the viewpoint of language carriers were revealed.

Keywords:

phonological status, whispered [ə], sound instability, perceptual experiment.

**Проблема фонологической
неопределенности французского
беглого [ə]**

*Ахвледиани Циури Александровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com*

*Габуня Кетеван Учаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 201 099
E-mail: keti_gabunia@yahoo.com*

Резюме

Французский беглый гласный [ə] характеризуется неопределенностью и неустойчивостью на различных уровнях, и для установления его фонемной принадлежности необходимо применение особых фонологических процедур. В статье предлагается краткий обзор лингвистических исследований, посвященных французскому [ə], а также приводятся результаты специально

организованного перцептивного эксперимента, направленного на выявление фонологического статуса этого гласного. Результаты эксперимента позволяют оценить самостоятельность беглого [ə] и степень его противопоставленности ближайшим в системе языка фонемам /œ/ и /ø/ с точки зрения носителя языка.

Ключевые слова:

фонологический статус, беглое [ə], неустойчивость гласного, перцептивный эксперимент.

Oxymoron - Reflection of the Complexities and Ironies of Life

Rusudan Gotsiridze

Georgian Technical University

Department of Foreign Languages

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.:593 301 342

E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Abstract

The current paper deals with the figure of speech – oxymoron which consists of words that are opposite in meaning, concepts that contradict each other and logically exclude each other. It analyses the structure and the different functions of the use of oxymoron. This figure of speech allows to show the essence of this or that phenomenon especially clearly and expressively, to create a unique, memorable concept, to enrich speech, make it vivid and imaginative.

Keywords:

contrasting lexemes, interrelation of the components, internal contradictions, ironic contrast, opposed concepts.

Introduction

Oxymoron (translated from Greek - "clever stupidity" which, in itself, is already an oxymoron) is a fairly often used figure of speech that combines words with opposite meanings. 100% of people either hear or use such expressions in their native language in everyday life.

The classic definition of an oxymoron is a phrase made up of words that are opposite in meaning, which allows to give more expressiveness to the image. For example, bitter joy, sweet tears etc.

An oxymoron is a figure of speech consisting of words that are opposite in meaning, concepts that contradict each other, logically exclude each other.

Main Body

The structure of an oxymoron is made up of two or more contrasting lexemes. The specificity of the meaning and interrelation of the components of the oxymoron is defined as the semantic ratio of the main and the dependent, the determined and the determinant. The minimal structure of an oxymoron is a phrase.

Thanks to the use of such a figure of speech as an oxymoron, the contrasting lexemes "stick" into the memory and become "winged". Oxymora are unique and their appropriate use in a literary text creates a certain author's style.

Oxymora are used to describe objects or phenomena more vividly. They often reveal internal contradictions that are already embedded in what is being described. The main function of an oxymoron is to express the speaker's personal relationship to a certain object or phenomenon. Sometimes oxymora are very difficult to interpret.

Aside from colloquial speech, oxymora are often used in news headlines, movie titles, music groups and books.

There are many commonly used oxymora in the English language. Among them there are those which have become so familiar that the contradiction does not become noticeable immediately. Here's a short list: The living dead, deafening silence, hell's angels, sweet revenge, terribly pleased, cruel kindness. sweet sorrow, plastic silverware [Nordquist R. 2020].

The first reason for using an oxymoron is the desire to draw attention. In addition, the oxymoron gives a certain charm to the speech. Besides, an entertainment component shouldn't be forgotten, as oxymora help the author show wit and amuse the interlocutor.

Oxymora are often used in cases where it is necessary to express the inconsistency or complex nature of the subject of speech.

Oxymora have several types in structure and

meaning. In the 1980s, oxymora were researched by an American linguist Warren S. Blumenfeld. He studied an oxymoron as a subject of oxymoronology and suggested the following subgroups:

- One-word oxymoron consisting of dependent morphemes
- One-word oxymoron consisting of independent morphemes.
- Natural oxymoron, which is the main category of oxymoronology and is called "natural" because the perception of these duos as oxymora is relatively direct and effortless.
- Literary oxymoronic expressions created by great writers. e. g. hateful good (Chaucer), disgustingly good, proud humility (Spenser), proud modesty (J. Milton), visible darkness, scalding coolness (Hemingway), burning coolness, expressive silence (Thomson), expressive silence, melancholy merriment (Byron).
- Double-Speak Oxymoron when people deliberately make oxymoronic combinations in order to confuse others. According to William Lutz, it is a language that shows bad with good, negative with positive, unpleasant becomes attractive. This language conceals or prevents thoughts, and also forms language in such a way that avoids or dumps responsibility with real or semantic meaning.
- Opinion Oxymora - When we talk about our values and want to influence others we expand our oxymoronic repertoire significantly. For those who like to speak, the oxymoron is the opportunity to entertain the audience [Lederer R. 1990].

The oxymoron is sometimes used as a tool for indicating sarcasm. It can be useful when things have gone contrary to expectation, belief, desire or assertion. The figure then produces an ironic contrast which shows how something has been misunderstood or mislabeled.

The oxymoron is a lexical device the syntactic and semantic structures of which clash. It is a figure of speech that:

- combines two words or ideas, usually thought of as opposite or incompatible.

- is intentional.
- is short and self-contained.
- provides emphasis.
- is a kind of flexible employment of antonyms (direct oxymoron) or quasi-antonyms (indirect oxymoron).
- its most widely known structure is attributive.
- is used to produce various rhetorical functions

It could be said that the oxymoron reflects the complexities and ironies of life itself and of things not being quite what they seem [Flayih R. 2009].

The oxymoron is used in works of art (in literature, in theatrical performances and films) to add a thrill to the sensations, to add additional color to some actions or characters. In advertising products, this technique is used in order to sharpen people's attention, intrigue and arouse their interest in the advertised product.

Paradoxical, contradictory and sharp, piercing sound of oxymora becomes a powerful magnet attracting the attention of readers, viewers and listeners, e.g. friendly fire, calm storm, mercy killing, sincere liar, organized chaos, open prison, only option, false fact, long shorts, polite insult, sweet torture, future legend etc.

Nowadays social oxymoron has become noteworthy as well. Many people use oxymora in social media and everyday speech, e.g. perfect mismatch, group selfie, invisible ink, sad smiley, statusless status, task failed successfully etc.

Recently Covid 19 pandemic has brought new oxymora, e.g. social distancing and alone together.

The main purpose of using oxymora is to reveal the perception of the author, to form the originality of the style.

The oxymoron, as a combination of the incongruous, selectively describes the limited manifestations of human life and always contains their assessment to those who create it. Therefore, they are often used as titles of works of art, films and in journalism, act-

ing as short and succinct titles.

The contradictory and unusual nature of the opposed concepts ensures the ambiguity of understanding and perception and contribute to the synthesis of a new unusual approach to the perception of the described object.

This very heterogeneous linguistic phenomenon helps the author to attract the attention of readers, as well as to make his work more visible and popular.

This figure of speech has no boundaries and has a perfect, independent meaning.

Conclusion

So, we came to the conclusion that oxymora, like other stylistic devices, are used to express the characteristics of an object, phenomena and facts of the surrounding life. It is thanks to oxymora that sometimes completely opposite qualities are combined, new concepts are created, the names of which are either absent in the language, or are devoid of originality. An oxymoron appears in the text when it is difficult or impossible to convey the contradictoriness of the described fact or phenomenon. This technique allows to show the essence of this or that phenomenon, to create a unique, memorable concept especially clearly and expressively. Oxymora really enrich the speech, make it vivid and imaginative.

Literature

1. 1. Flayih Rajaa (2009): A Linguistic study of Oxymoron

https://www.researchgate.net/publication/308633041_

2. Lederer R. (1990): Oxymoronology. Ross Eckler (Editor, Word Ways)

http://www.fun-with-words.com/oxym_oxymoronology.html

3. Nordquist R. (2020): Awfully Good Examples of Oxymoron

<https://www.thoughtco.com/awfully-good-examples-of-oxymorons-1691814>

ოქსიმორონი როგორც ცხოვრების სირთულეებისა და ირონიის ანარეკლი

რუსუდან გოცირიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უცხოურ ენათა დეპარტამენტი

კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 593 301 342

E-mail.: rusudangotsiridze@gmail.com

რეზიუმე

მოცემული ნაშრომი ეძღვნება ოქსიმორონის განხილვას, რომელიც ეფუძნება ერთმანეთთან „შეუთავსებელ“, ურთიერთგამომრიცხავ ცნებათა დაკავშირებას, რითაც ახალი ცნება ან ახალი წარმოდგენა იქმნება. ოქსიმორონი ფართოდაა გავრცელებული ჩვეულებრივ მეტყველებაში, რიტორიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში. ოქსიმორონი პარადოქსის ერთ-ერთი სახეა, რომლის მხატვრული ფუნქციაა მოულოდნელობის ეფექტის შექმნა, ამა თუ იმ ფენომენის არსის ექსპრესიულად წარმოჩენა, უნიკალური, დასამახსოვრებელი კონცეპტებით მეტყველების გამდიდრება.

საკვანძო სიტყვები:

კონტრასტული ლექსემები, კომპონენტების ურთიერთმიმართება, შინაგანი წინააღმდეგობები, ირონიული კონტრასტი, საწინააღმდეგო ცნებები.

Оксюморон как отражение жизненных трудностей и иронии

Гоциридзе Русудан Арчиловна
Грузинский Технический Университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 301 342
E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Резюме

В статье рассматривается оксюморон, который основан на соединении «несовместимых», взаимоисключающих концепций, создавая тем самым новую концепцию или новое представление. Оксюморон широко используется в обычной речи, риторике и художественной литературе. Оксюморон - один из видов парадоксов, художественная функция которого - создать эффект неожиданности, выразить суть того или иного явления, обогатить речь уникальными запоминающимися концептами.

Ключевые слова:

контрастирующие лексемы, взаимосвязь компонентов, внутренние противоречия, иронический контраст, противоположные понятия.

**მეტაფორა – სამედიცინო ტერმინოლოგიის
კონცეპტუალიზაციის ერთ-ერთი ხერხი
(გერმანული ენის სამედიცინო ტერმინოსისტემის მასალაზე)**

რუსუდან თაბუკაშვილი
საქართველოს უნივერსიტეტი
ევროპული ენებისა და ფილოლოგიის
დეპარტამენტი
კოსტავას ქ. № 77ა, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ: 593 512 484
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

რეზიუმე

ტერმინთა მეტაფორული წარმოების ძირითადი ტენდენცია ანტროპონიმიზაციაა. ანტროპომორფული მეტაფორა ეფუძნება ისეთ ანალოგიებს, როგორცაა ადამიანის ბიოლოგიური მახასიათებლები. სამედიცინო ტერმინთა მეტაფორიზაციის პროცესს საფუძვლად უდევს სემანტიკური გადააზრების პროცესი. სამედიცინო ტერმინთა დარგობრივ ლექსიკონებში უპირატესად ვხვდებით ადამიანის გარემომცველი სამყაროსა და მისი ყოფის ამსახველ საგანთა ჯგუფთან ასოციაციისა და მათთან შედარების გამომხატველ ტერმინებს.

საკვანძო სიტყვები:

კოგნიცია, კონცეპტი, ანტროპონიმიზაცია, მეტაფორა, ასოციაცია, სამედიცინო ტერმინი.

შესავალი

სინამდვილის კონცეპტუალიზაციის პროცესი, სამყაროს კონცეპტუალური სურათისა და ცალკეული კონცეპტების ფორმირების მექანიზმები, ასევე მათი ობიექტივაცია ენა-

ში თანამედროვე ლინგვისტიკის კვლევისა და განსჯის ობიექტია.

მეტაფორა მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს ჩვენს ცნებით სისტემას და ამავედროულად გავლენას ახდენს ჩვენს მსოფლადქმაზე. შესაბამისად, იგი ქმნის რეალობას და განსაზღვრავს ჩვენს ქმედებებს და ცხოვრებას [გუდკოვი 2003].

მეტაფორა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფუნდამენტური კოგნიტური ოპერაცია, რომელიც უზრუნველყოფს სამეტყველო სქემების გადატანას ერთი კონცეპტუალური სფეროდან მეორეში. კონცეპტი კოგნიტური ლინგვისტიკის მნიშვნელოვანი ტერმინია, რომელშიც ჩვენ ვგულისხმობთ ცოდნის ელემენტს და ცოდნის მიღების საშუალებას. კონცეპტის ენობრივი გამოხატვის საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ მეტაფორა, რომელიც დიდწილად მიგვმართავს ენის იმ სფეროს დისკურსული თავისებურებებისადმი, რომელსაც ეკუთვნის ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დისკურსი ცოცხლდება მეტაფორაში.

ძირითადი ნაწილი

მეტაფორა ხატოვანი მოდელირებისა და რეალობის ასახვის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია და შესაბამისად, ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიაში ასახავს, გამოხატავს სამყაროს ენის კონკრეტულ, განსაზღვრულ სურათს. მეტაფორა კოგნიტური მოვლენაა, რომელიც უნივერსალურ გნოსეოლოგიურ მექანიზმებსა და კონცეპტუალურ დონეზე ცოდნის რეპრეზენტაციის სფეროს მიეკუთვნება. მეტაფორა როგორც ენობრივი გამოხატულება შესაძლებელია იმის გამო,

რომ მეტაფორები არსებობს ადამიანის კონცეპტუალურ სისტემაში. ეს კოგნიტიური მეტაფორები განსაზღვრავენ ანალოგიებსა და ასოციაციებს არსებულ კონცეპტუალურ კატეგორიებს შორის, ქმნის რა უფრო მეტ ენობრივ მეტაფორებს. მეტაფორის უნივერსალურობა განპირობებულია იმით, რომ ეს მექანიზმი არსებობს თითოეული ადამიანის ცნობიერებაში, მიუხედავად იმისა, რომელ ენაზე ლაპარაკობს ის.

სამყაროს მეტაფორული აღქმა ადამიანის სუბიექტურ ასოციაციებს ემყარება. მეტაფორიზაცია შედეგია ადამიანის უნარისა, შენიშნოს თუ დააფიქსიროს მსგავსება ონტოლოგიურად განსხვავებული კლასის საგნებსა თუ მოვლენებს შორის და გააიგივოს ან შეაპირისპიროს ისინი ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ასეთი გაიგივებისა და შეპირისპირების ობიექტური საფუძველი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მეტაფორიზაცია არის აზროვნების სტილი, რომელიც სამყაროს სუბიექტურ-პოეტურ ხედვასა და ადამიანის ინდივიდუალურ შეფასებით კოგნიციასა და დამყარებული [Теория метафоры 1990].

ადამიანური აზროვნების მეტაფორულობის შესახებ საუბრობენ დ. ლაკოფი და მ. ჯონსონი [ლაკოფი, ჯონსონი 1980]. სწორედ აღნიშნული მოსაზრებაა მათი მეტაფორული კონცეპტების (metaphorical concepts) თეორიის საფუძველი.

ლაკოფი და ჯონსონი მეტაფორულ ნომინაციას ადამიანის წარმოსახვის ნაყოფად მიიხედავენ, რის შედეგადაც იქმნება აღქმის ობიექტის ახალი განსხვავებული ხატი, რომელიც სუბიექტურ თვისებებთან ერთად, ავტორისეული ესთეტიურ-კოგნიტიური და სუბიექტური შეფასებითი მოდალობის მატარებელია. ისინი ასევე თვლიან, რომ არ შეიძლება მეტაფორული ნომინაცია ინტერპრეტირებული იყოს მთლიანად, მხოლოდ როგორც ინდივიდუალურ-კოგნიტიური ფენომენი, რადგანაც იგი ამავედროულად გან-

პირობებულია ენის მატარებელთა კულტურით და სოციალური გარემოთი. ერების ენობრივ ცნობიერებაში ხდება კოგნიტიური მეტაფორის აღმოჩენა, რომელთა კონკრეტული შინაარსიც მათი შემქმნელი კულტურის თავისებურებების გამომხატველია [ლაკოფი, ჯონსონი 1990:387-415].

მეტაფორის კოგნიტიურ თეორიას ასაზრდოებს სამყაროში ადამიანის პრაქტიკული ცხოვრების გამოცდილების განზოგადება. ცოდნა ხატოვანი სქემებითაა (image schematas) დაფიქსირებული – განსხვავებით მარტივი კოგნიტიური სტრუქტურებისაგან, რომლებიც მუდმივად წარმოიშობა ადამიანის ფიზიკური მოქმედების პროცესში რეალობასთან [Лакотф, Джонсон 2004:38]. მეტაფორიზაციის მექანიზმების კვლევისას ლინგვისტები აღნიშნავენ, რომ აქ არაა სავალდებულო მოიძებნოს ზოგადი სქემები, რაც ორი სიტყვის ლექსიკური განმარტებისთვისაა დამახასიათებელი. საქმე ეხება ზოგად ასოციაციებს.

სამედიცინო ტერმინოლოგია ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და კომპლექსური სისტემაა დარგობრივ ტერმინთა სისტემებს შორის. ამასთან ტერმინთა წარმოების ყველაზე ეფექტურ მექანიზმად მიიხევა მეტაფორული ნომინაცია.

მეტაფორიზაცია აზრთწარმოების ყველაზე პროდუქტიული ხერხია ენის სტრუქტურის ყველა დონეზე (ლექსიკურზე, მორფოლოგიურსა თუ სინტაქსურზე), განსაკუთრებით აქტიურ ლექსიკურ დონეზე, რადგან იგი უკვე არსებული ლექსიკური ერთეულების ბაზაზე ახალ მნიშვნელობათა და ცნებათა წარმოქმნას უზრუნველყოფს [მირზიკაშვილი 2020].

მეტაფორის როგორც შემეცნებითი პროცესის ასახსნელად უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეტაფორის შექმნას საფუძველად უდევს სამყაროს შემეცნების სიღრმისეული სტრუქტურა. ამ სტრუქტურაზე დაყრდნობით იგი ერთმანეთს უპირისპირებს ისეთ სემანტი-

კურ კონცეპტებს, რომელთა შეპირისპირება ალოგიკურია, რაც საფუძვლად უდევს მეტაფორის წარმოშობას. მეტაფორა გულისხმობს გარკვეულ მსგავსებას სემანტიკურ რეფერენტებთან, ასევე განსხვავებას, რაც ხელს უწყობს ახალი კონცეპტის შექმნას. ამიტომ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ მის სემანტიკურ წარმომშობ მექანიზმის მიღმა არსებობს კოგნიტიური მექანიზმი. მეტაფორის მნიშვნელობა კი ენის ზედაპირზე ყალიბდება კონტექსტის გათვალისწინებით. მეორე მხრივ, მეტაფორა თვით ასახავს შემეცნების მექანიზმს. ახალი ინფორმაციის ძველ ცოდნასთან შედარებისა და ასეთად მისი წარმოდგენის გამო იგი კომპიუტერულ პროცესს იმეორებს [მირზიკაშვილი 2020].

მეტაფორა ახალ ცნებებს ქმნის და ასახავს ენის კულტურულ განვითარებას, მის არქეტიპს, რომელშიც იუნგი გულისხმობდა [იუნგი 1991:27] „სტრუქტურულ სქემებს, ხატების სტრუქტურულ წანამძღვრებს, რომლებიც კოლექტიური არაცნობიერის სფეროში არსებობენ“ და მისი აზრით, შესაძლებელია ბიოლოგიურ მემკვიდრეობით ხასიათსაც ატარებდნენ.

მეტაფორის მექანიზმის აღწერითი მოდელის ინტერპრეტაცია შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: 1. კოგნიტიური ეტაპი – შემეცნების სიდრმისეული სტრუქტურა: უცნობი ინფორმაციის ნაცნობით ახსნის აუცილებლობა; 2. ფსიქოლოგიური ეტაპი – შეცნობისა და მეტაფორული სახელდებისათვის განკუთვნილი ობიექტისადმი სუბიექტური განწყობის შექმნა; 3. სემანტიკური ეტაპი – ახალი ცნების, კონცეპტის შექმნა, რომელშიც რელიეფურად გამოკვეთილი შინაგანი ფორმაციაა გამოხატული; 4. ოკაზიონალური მეტაფორის სტერეოტიპიზაციისა და ენაში დამკვიდრების გზით მის ენობრივ, უზუალურ მეტაფორად გადაქცევის მეთოდი.

ექვევარეშეა, რომ მეტაფორა სამყაროს შეცნობს საშუალებაა [მაკკორმაკი 1985:1-8].

მეტაფორული სამედიცინო ტერმინები სემანტიკური თვალსაზრისით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. ისტორიულ პირთა და მხატვრული ლიტერატურის პერსონაჟთა სახელები:

Van Gogh Syndrome, Alice im Wunderland-Syndrom, Ödipuskomplex

2. სომატური მეტაფორა:

Diabetischer Fuß, Fiebergesicht, Löwengesicht, Gesichtsstarre, Zahnbein, Zahnholz, Zahnkrone, Zahnmark, Zahnstein, Extremität, Pulpakekrose, Klauenhand, Klauenfuss

3. საყოფაცხოვრებო მეტაფორა. მეტაფორის ეს ტიპი დაკავშირებულია ადამიანის ყოფასთან, მასში ერთიანდება საყოფაცხოვრებო საგნების დასახელებები:

Ballondilatation, Ballonkatheter, Brücke, Drainage, Dreigefäßkrankung, Feinnadel biopsie, Feinnadelpunktion, Fettmantel, Galvanokrone, Gefäßlumen, Herzkammer, Herzklappen, Haarfollikel, fokale Gastritis, Säuremantel, Schaufensterkrankheit, Schuppenflechte (Psoriasis), Wurzelkanal, Wurzel (kanal) behandlung, blindes Loch, Kindbettfieber

4. სამხედრო მეტაფორა მოიცავს ტერმინებს, რომლებიც ახდენენ იმ სიტყვათა მეტაფორიზაციას, რომლებიც გამოხატავენ აგრესიას, აღწერენ იარაღს და სამხედრო ქმედებებს, მაგალითად:

chirurgische Intervention, Herzattacke, Schlaganfall, tonischer Anfall

5. სივრცის, ადგილის, სიდიდისა და ზომა-წონის, რავგარობის მეტაფორა:

Dickdarm, Dünndarm, Mastdarm, distales Rectum, Großhirn, Pfortader, Riesenfaltengastritis, stummer Infarkt, Süßstoff, Tröpfcheninfektion, blinder Fleck, frontotemporale Demenz

6. ფერთა მეტაფორა ტერმინოლოგიურ გამოთქმებში:

rote Pulpe, weiße Pulpe, Blausucht (Zyanose), grauer Star

7. ბუნებრივი მოვლენები და წელიწადის დროების მეტაფორა:

Frühsommer Meningoenzephalitis, Regenbogenhaut, Saisonal abhängige Depression, Sterngucker

8. მშენებლობა / არქიტექტურა, ლანდშაფტის მეტაფორა:

Schlafarchitektur, Beckenboden, Herzvorhof

9. ზომეტაფორა:

Schwanenhalsdeformität

დასკვნა

მოძიებული სამედიცინო ტერმინების სემანტიკური ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ სამედიცინო ტერმინთა მეტაფორიზაცია ანტროპომორფულია და იგი ასოცირდება ერთი მხრივ ადამიანთან, როგორც ბიოლოგიურ არსებასთან, ხოლო მეორე მხრივ – მის ყოფასა და გარე სამყაროში მის საქმიანობასა და პოზიციონირებასთან. ემპირიული მასალის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა მეტაფორების შემდეგი კატეგორიები: ნომინაციები, რომლებიც ნაწარმოებია ისტორიული პიროვნებების სახელებისაგან და კლასიკური ლიტერატურის, მითების, ზღაპრების პერსონაჟებისაგან. მეტაფორა-სომატიზმები, საყოფაცხოვრებო მეტაფორა, სამხედრო მეტაფორა, რავგარობის, ფერთა, ბუნებრივი მოვლენებისა და წელიწადის დროების, მშენებლობა/არქიტექტურა / ლანდშაფტისა და ზომეტაფორა.

მეტაფორა სამედიცინო დისკურსს ხდის უფრო დამაჯერებელს, ცხადს, მკვეთრს, რაც თავის მხრივ ექიმსა და პაციენტს შორის ეფექტური კომუნიკაციის წარმატების საწინდარია. მეტაფორა აიოლებს ტერმინის გაგებას, მისი საშუალებით ექიმი თავიდან იცილებს დესკრიპციულ ნომინაციას

და უფრო სხარტს და რეცევიციულს ხდის დარგობრივ კომუნიკაციას.

ლიტერატურა

1. Гудков Д. Б.(2003): Теория и практика межкультурной коммуникации Текст. / Д. Б. Гудков М.: ИТДГК «Гнозис»

2. Лакофф Д., Джонсон М. (1990): Метафоры, которыми мы живем. Теория Метафоры. Москва, Прогресс, с. 387- 415

3. Lakoff G., Jonson M. (1980): The Metaphorical Structure of the Human Conceptual System, Cognitive Science 4, 195-208

4. Лакофф Дж. и Джонсон М. (2004): Metaphors We Live by. [Текст] – Едиториал УРСС, 256 с.

5. მირზიკაშვილი ქ. (2020): სადოქტორო დისერტაცია მეტაფორისა და აღქმის ტიპოლოგია. თბილისი

6. Юнг К. Г. (1991): Архетип и символ. - Москва

7. Мак Кормак Э. (1985): Когнитивная теория метафоры // теория метафоры. Москва. „Прогресс“

Metaphor - One of the Ways of Conceptualizing Medical Terminology (On the material of the German language medical terminology system)

Rusudan Tabukashvili

University of Georgia

Department of European Languages and Philology

77a Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 593 512 484

E-mail:r.tabukashvili@gmail.com

Abstract

The main trend in the metaphorical creation of terms is anthroponymization. An anthropomorphic metaphor is based on analogies like human biological characteristics. The process of metaphORIZING medical terms is based on the process of semantic rethinking.

In the special dictionaries of medical terms, terms expressing association and comparison with the human world and the group of objects that reflects its existence are mostly found.

Keywords:

Cognition, concept, anthroponymy, metaphor, association, medical term.

ях, какими являются биологические свойства человека. Процесс семантического осмысления является основой процесса метафоризации медицинских терминов.

В отраслевых словарях медицинских терминов, преимущественно, встречаем термины, выражающие окружающую среду человека, ассоциируемые с группой его бытовых окружении и с ними сравнивающие термины.

Ключевые слова:

когниция, концепт, антропонимизация, метафора, ассоциация, медицинский термин.

Метафора – один из способов концептуализации медицинской терминологии (на материале медицинской терминосистемы немецкого языка)

Табукашвили Русудан Михайловна

Университет Грузии

Департамент европейских языков и филологии

Ул. Костава №77а, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Резюме

Основная тенденция создания метафорных терминов – антропонимизация. Антропоморфная метафора основывается на таких аналогич-

განმანათლებლობა ესპანეთში

მარინე კობეშავიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო

ტელ: 591 222 007

E-mail: mkobeshavidze@yahoo.com

ნინო ჭრიკიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო

ტელ: 598 165 756

E-mail: n.chrikishvil@yahoo.com

რეზიუმე

XVIII საუკუნის ევროპაში მიმდინარე პროცესები და გაბატონებული იდეოლოგია, რომელიც ძველი საზოგადოების თანამედროვე საზოგადოებად გარდაქმნას გულისხმობს, განმანათლებლობის სახელით შევიდა ისტორიაში. განმანათლებლობის იდეები ინგლისში ჩაისახა, ხოლო მოგვიანებით გავრცელდა ევროპის არაერთ ქვეყანაში. განმანათლებლობამ საბოლოო სახე XVIII საუკუნის საფრანგეთში მიიღო. სწორედ საფრანგეთიდან გავრცელდა განმანათლებლობის იდეები ესპანეთში. თუმცა, ესპანური განმანათლებლობა ფრანგულისგან განსხვავდება როგორც შინაარსობრივად, ისე მთელი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე პროცესების განსხვავებული დასასრულით. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ ესპანური განმანათლებლობის ძირითად მახასიათებლებს და ვნახავთ, რა განასხვავებდა მას ფრანგული განმანათლებლობისგან.

საკვანძო სიტყვები:

განმანათლებლობა, ესპანელი განმანათლებლები, რეფორმები.

შესავალი

განმანათლებლობა XVIII საუკუნის ევროპაში გაბატონებული იდეოლოგიაა, რომლის მიზანიც ტრადიციული საზოგადოების თანამედროვე საზოგადოებად გარდაქმნაა. განმანათლებლობის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ მოქველებული საზოგადოებრივი წყობილება და დრომოჭმული შეხედულებები მთელი რიგი საკითხების მიმართ უნდა შეცვლილიყო. ისინი გამოდნენ შუასაუკუნეობრივ ცრურწმენებს, კონკრეტული ფენების პრივილეგიებს, აკრიტიკებდნენ კათოლიკურ ეკლესიას და პროგრესის ერთადერთ გზად მიიჩნევენ რეფორმებს, რაც თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საზოგადოების შექმნის წინაპირობა გახდებოდა. განმანათლებლები საზოგადოების მთავარ პრობლემად გაუნათლებლობას ასახელებდნენ და მეცნიერული ცოდნის გავრცელებაში ხედავდნენ გამოსავალს. სინამდვილის შესაცნობად უპირატესი გახდა გონება, თავისუფალი აზროვნება, განსჯა და ფაქტების ანალიზი.

განმანათლებლობა ორ მიმართულებას მოიცავს: ა) მეცნიერება, რაც გულისხმობს, რომ ადამიანს აღარ აკმაყოფილებს ტრადიციული ცოდნა და სამეცნიერო კვლევებით იწყებს მსოფლიოს შემეცნების პროცესს. ადამიანი მეცნიერული ცდებითა და დაკვირვებებით იწყებს მთელი რიგი მოვლენების ახსნას; ბ) პოლიტიკა და საზოგადოების მოწყობა, სადაც მთავარი ღირებულება ტოლერანტობა, თავისუფლება და თანასწორობაა. ბუნებრივია, განმანათლებლების იდეები პოლიტიკისა და საზოგადოების ახლებურად მოწყობის შესახებ წინააღმდეგობაში მოდის იმ პერიოდის ევროპაში გაბატონებულ აბსოლუტურ მონარქიასთან, სადაც მონარქი სიცოცხლის ბოლომდე მართავს ქვეყანას და აქვს შეუზღუდავი ძალაუფლება.

განმანათლებლობის იდეები XVII საუკუნის ინგლისში ჩაისახა, ხოლო მოგვიანებით გავრცელდა ევროპის არაერთ ქვეყანაში. განმანათლებლობამ საბოლოო სახე XVIII საუკუნის საფრანგეთში მიიღო. სწორედ ფრანგულ განმანათლებლობას წარმოადგენენ XVIII საუკუნის ევროპის უდიდესი მოაზროვნეები – ვოლტერი, მონტესკიე, რუსო და დიდრო. ვოლტერი აკრიტიკებს წოდებრივ უთანასწორობას, საუბრობს თავისუფლებასა და თანასწორობაზე, ეწინააღმდეგა რელიგიურ ფანატიზმს. მისთვის მიუღებელია თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა, რაც ნათლად ჩანს ვოლტერის ცნობილ ფრაზაში: “შესაძლოა, თქვენი აზრები ჩემთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ მე თავს გავწირავ, რათა თქვენ მათი გამოთქმის უფლება გქონდეთ.” ვოლტერი საზოგადოების მთავარ პრობლემად გაუნათლებლობას ასახელებს და საზოგადოების გარდაქმნის მშვიდობიან გზას, რეფორმების გატარებას ემხრობა. სამი სახის მმართველობას (რესპუბლიკური, მონარქიული, დესპოტური) განარჩევს მონტესკიე, რომელიც ეწინააღმდეგა მთელი ძალაუფლების ერთი ადამიანის ხელში თავმოყრას და კონსტიტუციური მონარქიის მოდელს ემხრობა. ადამიანის უფლებების დაცვა და სოციალური თანასწორობა გვხვდება რუსოსთანაც. თუმცა, ფრანგული განმანათლებლობის წინა თაობისგან განსხვავებით, რუსო წარმოადგენს უკიდურეს რადიკალიზმს და ცვლილებების გატარების გზად რევოლუციას ირჩევს. ჟან-ჟაკ რუსოს ნაშრომებმა და პოლიტიკურმა იდეებმა უდიდესი წვლილი შეიტანა საფრანგეთის რევოლუციაში. რაც შეეხება დიდროს, დენი დიდროს დამსახურებაა ფრანგულენოვანი მეცნიერებისა და ხელოვნების ენციკლოპედიის შექმნა. დიდროს მიზანი მთელს მსოფლიოში მიმოფანტული ცოდნის მოგროვება, წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება და თანამედროვეებისათვის გადაცემა იყო. ენციკლოპედიის გამოცემა ხელს

უწყობს მეცნიერული ცოდნის გავრცელებას, რაც განმანათლებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო.

იდეოლოგიურმა რევოლუციამ, რომელიც თავისუფლებას, თანასწორობას, სამართლიანობას და ხელისუფლების გადანაწილების იდეას ქადაგებდა, მაღალი გადასახადებით, უთანასწორობით, უსამართლობით და აბსოლუტური მონარქიით გადაღლილ ფრანგებს რევოლუციისკენ უბიძგა. 1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად საფრანგეთში შეიცვალა მმართველობის ფორმა და აბსოლუტური მონარქია ჩაანაცვლა რესპუბლიკამ, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მმართველს აირჩევენ გარკვეული ვადით, ხოლო ძალაუფლება გადანაწილდება. ამასთან, გამოიცა დოკუმენტი “ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია”, სადაც ეწერა: “ყველა ადამიანი თავისუფალი იბადება, თავისუფლად რჩება და ყველას თანაბარი უფლებები აქვს”. დოკუმენტი შემდგომში საფრანგეთის კონსტიტუციას დაედო საფუძვლად.

ძირითადი ნაწილი

განმანათლებლობის იდეები ესპანეთში საფრანგეთიდან გავრცელდა. თუმცა, ესპანური განმანათლებლობა ფრანგული განმანათლებლობისგან მკვეთრად განსხვავდება. როგორც ესპანელი ისტორიკოსები ამბობენ, ესპანური განმანათლებლობა იყო “menos original y brillante que la francesa”, რასაც შემდეგი მიზეზით ხსნიან: ესპანური განმანათლებლობა იყო “ელიტური”, რაც ნიშნავს, რომ ესპანელი განმანათლებლები დიდგვაროვანთა ფენას წარმოადგენდნენ. ესპანელი განმანათლებლები დაახლოებულები იყვნენ სამეფო კართან, სარგებლობდნენ მონარქის კეთილგანწყობით და იკავებდნენ მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ თანამდებობებს. აღნიშ-

ნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ესპანელი განმანათლებლები თვალს ხუჭავდნენ მონარქის ერთპიროვნულ მმართველობაზე, არ საუბრობდნენ პოლიტიკური რეფორმების აუცილებლობაზე და აქცენტს მხოლოდ ეკონომიკური და საგანმანათლებლო რეფორმების გატარებაზე აკეთებდნენ. რეფორმებით ესპანელი განმანათლებლები ესპანელების ცხოვრების დონის ამაღლებას ცდილობენ, ოღონდ ისე რომ დიდგვაროვნებს პრივილეგიები (მაგალითად, არ იხდიდნენ გადასახადებს) შენარჩუნებოდათ. ესპანური განმანათლებლობა ცალსახად შეგვიძლია შევაფასოთ როგორც რეფორმისტული ხასიათის პროცესი, რომელიც ესპანური ეკონომიკის მოძლიერებას და ესპანელების განათლებას ემსახურებოდა, როგორც საგანმანათლებლო რეფორმების გატარებით, ისე ესპანელებში მეცნიერული ცოდნის გავრცელებით.

ესპანურ და ფრანგულ განმანათლებლობას განსხვავებული დასასრულიც განასხვავებთ ერთმანეთისგან. იდეოლოგიურმა რევოლუციამ, რომლის სათავეშიც ფრანგი განმანათლებლები იყვნენ, მაღალი გადასახადებით, უთანასწორობით, უსამართლობით და აბსოლუტური მონარქიით გადაღლილ ფრანგებს რევოლუციისკენ უბიძგა. 1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად საფრანგეთში შეიძვალა მმართველობის ფორმა, ხოლო დოკუმენტში სახელწოდებით “ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია” გარკვევით ჩაიწერა, რომ ყველა ადამიანს თანაბარი უფლებები აქვს. განსხვავებული სცენარით განვითარდა მოვლენები ესპანეთში. ესპანეთში რევოლუცია არ მომხდარა, რადგან ესპანური განმანათლებლობა ფრანგულისგან განსხვავდებოდა შინაარსობრივი თვალსაზრისით. ამასთან, საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც საფრანგეთში რევოლუცია მოახდინა, ანუ ბურჟუაზია, ესპანეთში არ იყო ძლიერი.

ესპანური განმანათლებლობა ორ პერიოდს მოიცავს:

XVIII საუკუნის პირველი ნახევარი (ფელიპე V და ფერნანდო VI): დაპირისპირება ესპანური მემკვიდრეობისათვის, რომელიც ესპანეთის მეფის, ჰაბსბურგთა ესპანური შტოს ბოლო წარმომადგენლის, კარლოს II-ის მემკვიდრის გარეშე გარდაცვალებას მოჰყვა, ფილიპ ანჟუელის გამეფებით დასრულდა, რაც ნიშნავს, რომ ესპანეთის სათავეში ახალი დინასტია მოვიდა. ფილიპ ანჟუელი, რომელიც ესპანეთის ტახტზე ფელიპე V-ს სახელით ავიდა, ბურბონების ესპანური შტოს დამაარსებელი გახდა. ესპანეთში გამეფებულმა ფელიპემ ქვეყნის სამართავად მმართველობის ფრანგული მოდელი აირჩია და ესპანეთში აბსოლუტური მონარქია განამტკიცა. ბურბონების ესპანეთში გამეფებამ ესპანეთი დაახლოვა საფრანგეთთან, რასაც განმანათლებლობის იდეების ესპანეთში გავრცელება მოჰყვა. თუმცა, ფრანგული განმანათლებლობისათვის დამახასიათებელი იდეების მხოლოდ იმ ნაწილმა მოიკიდა ფეხი ესპანეთში, რომელიც მეცნიერული ცოდნის გავრცელების და განათლების აუცილებლობას ქადაგებდა. ესპანურ განმანათლებლობას ფრანგულისგან განსხვავებით არ ახასიათებდა პოლიტიკური და სოციალური თემები, რადგან ესპანეთში განმანათლებლები ძირითადად დიდგვაროვნები იყვნენ, რომლებიც არც წოდებრივ უთანასწორობას გააკრიტიკებდნენ და არც პრივილეგიებზე იტყოდნენ უარს. სამეცნიერო და კულტურული კვლევების ჩასატარებლად და მეცნიერული ცოდნის გასავრცელებლად ესპანეთში (საფრანგეთის მაგალითზე) დაარსდა რამდენიმე სამეფო აკადემია. აკადემიის წევრები ატარებდნენ კვლევებს, ეცნობოდნენ სამეცნიერო სტატიებს, კითხულობდნენ ლექციებს და ამ გზით ავრცელებენ მეცნიერულ ცოდნას. ესპანეთში ამჟამად ცხრა სამეფო აკადემია მუშაობს, საიდანაც სამი XVIII საუკუნეშია

დაარსებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პირველი აკადემია. ესპანური ენის სამეფო აკადემიამ (RAE), რომელიც დაარსდა 1713 წელს, დაარსებიდან მალევე (1726-1739 წლებში) გამოაქვეყნა ესპანური ენის განმარტებითი ლექსიკონის ექვსი ტომი (ესპ. Diccionario de Autoridades) და გრამატიკა. 1738 წელს დაარსდა ისტორიის სამეფო აკადემია (RAH), რომელმაც მიზნად დაისახა ესპანეთის ისტორიის შესწავლა და ანალიზი, ხოლო 1752 წელს შეიქმნა სან ფერნანდოს ხელოვნების აკადემია. აქვე უნდა აღინიშნოს სამეფო ბიბლიოთეკაც (მოგვიანებით ეწოდა ეროვნული ბიბლიოთეკა), სადაც ყველა გამომცემელი ვალდებული იყო შეენახა ესპანეთში გამოცემული წიგნების ეგზემპლარები. სამეფო ბიბლიოთეკა 1712 წელს დაარსდა.

ესპანური განმანათლებლობის პირველი ეტაპის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია ბენიტო ხერონიმო ფეიხო (1676-1764), რომელსაც ესპანელი ლიტერატორები მოიხსენიებენ როგორც “ესპანური ესეს ფუძემდებელს”. ფეიხოს მთელი შემოქმედება მიმართული იყო ესპანელების მენტალიტეტის მოდერნიზაციისაკენ. იგი ცდილობდა სიმართლე დაედგინა და მეცნიერული ცოდნის გავრცელებით დაპირისპირებოდა უცოდინრობას და ხალხში გაბატონებულ ცრურწმენებს, არასწორ შეხედულებებს. ფეიხომ თავისი ესეებით ამოატრიალა ესპანელი ხალხის მენტალიტეტი და განუზომელი წვლილი შეიტანა კათოლიკური ეკლესიის გავლენის ქვეშ მოქცეული ესპანელების განათლებაში. ფეიხოს ესეები ეხება მეცნიერებების არაერთ დარგს (ფილოლოგიას, ფილოსოფიას, ისტორიას, გეოგრაფიას, მედიცინას, ასტრონომიას, ფიზიკას). ბენიტო ხერონიმო ფეიხოს ყველაზე ცნობილი ნაშრომია “Teatro crítico universal“,* სადაც თემატურად მრავალფეროვანი 118 ესეა

* სიტყვას “teatro” ფეიხო იყენებს “panorama”-ს მნიშვნელობით

თავმოყრილი. ნაშრომის პირველი ტომი გამოქვეყნდა 1726 წელს, ხოლო დანარჩენი რვა ტომი მომდევნო 14 წლის განმავლობაში იქმნებოდა და ეტაპობრივად იბეჭდებოდა (ბოლო ტომი 1740 წელს გამოქვეყნდა). “Teatro crítico universal“ არის ნაშრომი, სადაც სხვადასხვა საკითხის კრიტიკული ანალიზია წარმოდგენილი. ფეიხოს ესეებიდან განსაკუთრებით აღნიშნავენ “Teatro crítico universal“-ის პირველი ტომის მე-16 ესეს “Defensa de las mujeres”.** როგორც ჩანს, აღნიშნული ესე მწერლისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო, რადგან მას შემდეგი წინადადებით იწყებს: „Este trabajo será duro porque no solo tendrá que luchar con los errores, sino más bien contra los hombres en general.“ ესეში ფეიხო იცავს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეას, აქცენტს აკეთებს ქალების განათლებაზე და იცავს ქალების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. აღნიშნული ესეს გამოქვეყნებას ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე გოგონებისათვის სკოლების გახსნა მოჰყვა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი 90-იან წლებამდე (კარლოს III): კარლოს III განათლებული აბსოლუტიზმის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია. მონარქი ესპანეთს მართავს ლოზუნგით “todo para el pueblo pero sin el pueblo”,*** რაც ნიშნავს, რომ მეფემ კარგად იცის, რა სჭირდება ხალხს, ატარებს უამრავ რეფორმას ხალხის ცხოვრების დონის ასამაღლებლად (ავითარებს ვაჭრობას, სოფლის მეურნეობას, აწესრიგებს ქალაქების ინფრასტრუქტურას, კრძალავს ადამიანების წამებას...), ხსნის საგანმანათლებლო ცენტრებს, მაგრამ უარყოფს “libertad política”-ს. კარლოს III-მ ესპანური განმანათლებლობის საუკეთესო წარმომადგენლები (ფლორიდაბლანკა, კამპომანესი, სოველიანოსი) შემოიკრიბა, დანიშნა

** <http://www.filosofia.org/bjf/bjft000.htm>

*** „ყველაფერი ხალხისათვის, მაგრამ ხალხის გარეშე“.

ისინი მაღალ თანამდებობებზე, მათი დახმარებით შეიმუშავა რეფორმების ამბიციური გეგმა და შეუდგა დასახული მიზნების სისრულეში მოყვანას. კარლოს III ატარებს უამრავ ეკონომიკურ თუ საგანმანათლებლო რეფორმას, ცდილობს ეკონომიკის განვითარებას და საზოგადოების მოდერნიზაციას, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც მონარქის ერთპიროვნულ მმართველობას შეუქმნის საფრთხეს.

ესპანურ განმანათლებლობის მეორე პერიოდის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია გასპარ მელჩორ დე ხოველიანოსი (1744-1811). ხოველიანოსი თავის ესეებში განიხილავს იმდროინდელი ესპანეთის მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხებს და ასახელებს პრობლემების გადაჭრის გზებს, საუბრობს პრობლემების გადასაჭრელად გასატარებელ რეფორმებზე (ფაბრიკების გახსნა, ვაჭრობის გაფართოება...). აღნიშნულიდან გამომდინარე, ხოველიანოსს ახასიათებენ როგორც მწერალს, რომელმაც „*dedicó toda su vida a estudiar y resolver los problemas del momento.*” ხოველიანოსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს განათლებას და მიიჩნევს, რომ განათლება ერის კეთილდღეობისა და წინსვლის უპირობო საფუძველია. ხოველიანოსს ეკუთვნის ცნობილი ნაშრომები “*Memoria sobre la educación pública*”, სადაც საყოველთაო და ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლების მნიშვნელობაზე საუბრობს. მწერალი ერის განვითარებას ხედავს განათლებაში და კულტურული დონის ამაღლებაში.

1788 წელს ესპანეთის მეფე გახდა კარლოს IV, რომლის მმართველობაც საფრანგეთში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესებს ემთხვევა. ავიდა თუ არა კარლოს IV ესპანეთის ტახტზე, საფრანგეთში სიტუაცია დაიძაბა და რამდენიმე თვეში ხალხმა ბასტილია აიღო (1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია). საფრანგეთში მიმდინარე მოვლენებმა ესპანელი მონარქი შეაშფო-

თა. კარლოს IV შიშობდა, რომ მონარქს არც ესპანეთში დაადგება კარგი დღე, რის გამოც სახელმწიფოს პოლიტიკა შეიცვალა – შეწყდა რეფორმები, ჩაიკეტა საზღვარი საფრანგეთთან და დაიწყო საზოგადოების იმ ნაწილის დევნა, რომელიც მეზობელ საფრანგეთში მიმდინარე მოვლენებს აღფრთოვანებული შეხვდა.

დასკვნა

ამრიგად, ესპანეთში განმანათლებლობა შეგვიძლია შევაფასოთ როგორც რეფორმისტული პროცესი, რომელიც ესპანური ეკონომიკის მოძლიერებას და ესპანელების განათლებას ემსახურებოდა. განმანათლებლობა ესპანეთში ძირითადად ეკონომიკურ და საგანმანათლებლო რეფორმებს გულისხმობს, რაც მას მნიშვნელოვნად განასხვავებს ფრანგული განმანათლებლობისგან, სადაც წინა პლანზე სოციალური და პოლიტიკური თემები იყო წამოწეული. ესპანურ და ფრანგულ განმანათლებლობას დასასრულიც განასხვავებს ერთმანეთისგან. ფრანგი განმანათლებლების იდეებმა წოდებრივი უთანასწორობით და აბსოლუტური მონარქიით გადაღლილ ფრანგულ ბურჟუაზიას რევოლუციისკენ უბიძგა, რევოლუცია ესპანეთში არ მომხდარა, რადგან ესპანურ განმანათლებლობას სხვა პრიორიტეტები ჰქონდა. ამასთან, არც ესპანური ბურჟუაზია იყო ძლიერი.

ლიტერატურა

1. Cabrales J. M., Hernández G. (2009): “Literatura española y latinoamericana”. SGEL. Madrid
2. García López J. (1994): “Historia de la literatura española”. Vicens-Vives
3. Río A. (2010): “Historia de la literatura española”. Madrid

4. Valdeón J., Pérez J., Juliá S. (2009): “Historia de España”. Madrid

Enlightenment in Spain

Marine Kobeshavidze
Tbilisi State University
Faculty of Humanities
36 Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel: 591 222 007
E-mail:mkobeshavidze@yahoo.com

Nino Chrikishvili
Tbilisi State University
Faculty of Humanities
36 Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel: 598 165 756
E-mail:n.chrikishvil@yahoo.com

Abstract

The processes taking place in eighteenth-century Europe and prevailing ideology, which seeks to transform the old society into a modern one, is known in history as Enlightenment. The ideas of the Enlightenment were introduced in England and later spread to many European countries. The Enlightenment took its final form in eighteenth-century France. It was from France that the ideas of the Enlightenment spread to Spain. However, the Spanish Enlightenment differs from the French both in content and in the different endings of the processes going on throughout the century. In this article we will discuss the main features of the Spanish Enlightenment and see what distinguished it from the French Enlightenment.

Keywords:

Enlightenment, Spanish educators, reforms.

Просвещение в Испании

Кобешавидзе Марине Валериевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе N 36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 591 222 007
E-mail:mkobeshavidze@yahoo.com

Чрикишвили Нино Гелаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе N36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 598 165 756
E-mail:n.chrikishvil@yahoo.com

Резюме

В XVIII веке в Европе происходящие процессы и доминирующая идеология, которая подразумевала превращение старого общества в современное, в историю вошла как –просвещение. Идеи просвещения рождены в Англии, а попозже распространились в различных странах Европы. Окончательный вид просвещение получил во Франции в XVIII веке. Оттуда и распространились идеи просвещения в Испании, хотя испанское просвещение отличается от французского как содержанием, так и различного рода финалом текущих процессов целого века.

В статье рассматриваем особые характерные черты испанского просвещения, которые показывают различие от французского просвещения.

Ключевые слова:

просвещение, испанские просветители, реформы.

ჟარგონის როლი ესპანელი ახალგაზრდების მეტყველებაში

მარინე კობეშავიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო

ტელ: 591 222 007

E-mail: mkobeshavidze@yahoo.com

ნინო ჭრიკიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო

ტელ: 598 165 756

E-mail: n.chrikishvil@yahoo.com

რეზიუმე

სოციალური დიალექტი – ჟარგონი არის ენის ის ვარიანტი, რომელსაც სხვადასხვა ასაკის, განათლების, პროფესიის ან სოციალური მდგომარეობის ადამიანები ერთმანეთთან კომუნიკაციის დროს იყენებენ. ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა კვლევა ესპანელი ახალგაზრდების სასაუბრო ენისა, რომელიც სავსეა ანგლიზიციზმებით, მნიშვნელობაშეცვლილი სპეციფიკური ლექსიკით და სხვადასხვა სიტყვაწარმოებით პროცესებით ნაწარმოები სიტყვებით. ესპანელი ახალგაზრდების მიერ ერთმანეთთან კომუნიკაციის დროს გამოყენებული ენა მრავალფეროვანია თემატურადაც.

ესპანელი ახალგაზრდების ჟარგონული მეტყველება და მათი სასაუბრო ენის მთავარი ლინგვისტური მახასიათებლები წინამდებარე სტატიის მთავარი თემაა. ნაშრომში განვიხილავთ ამ ტიპის სპეციფიკურ ლექსიკას, როგორც თემატურად, ისე ლინგვისტური მახასიათებლებით.

საკვანძო სიტყვები:

ჟარგონი, სოციალური დიალექტი, სტილისტური და მორფოლოგიური საშუალებები, სპეციფიკური ლექსიკა.

შესავალი

ენის მთლიანობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია ყველა ერისთვის, რადგან იგი პირდაპირ კავშირშია ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბებასთან. გამონაკლისს არც ესპანელები წარმოადგენენ. ესპანელებიც ცდილობენ ენის მთლიანობის შენარჩუნებას, თუმცა ენის ევოლუციის პროცესში მაინც იჩენს თავს სპეციფიკური ლექსიკა, რომელიც საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის მეტყველებას საერთო-სახალხო ენისგან გამოყოფს და განასხვავებს.

საერთო-სახალხო ენის ერთ-ერთი განშტოება არის ჟარგონი, რომელიც განსაკუთრებით გამოიყენება ესპანელი ახალგაზრდების მეტყველებაში. ესპანელი ახალგაზრდები სხვადასხვა სტილისტური და მორფოლოგიური საშუალებებით ქმნიან საკუთარ სასაუბრო ენას და მას იყენებენ როგორც ზეპირი, ისე წერილი კომუნიკაციის დროს. სწორედ ესპანელი ახალგაზრდების მეტყველებას და მათ მიერ გამოყენებულ ჟარგონს ეხება სტატია, სადაც ჟარგონულ ლექსიკას განვიხილავთ არა მარტო თემატურად, არამედ ვნახავთ, რომელ მორფოლოგიურ საშუალებებს იყენებენ ახალგაზრდები ესპანეთში საკუთარი სასაუბრო ენის შექმნისას. სტატიაში წარმოდგენილი ესპანურენოვანი ერთეულების განხილვისას და შესაბამისი ქართული ეკვივალენტების მოძიებისას გამოვიყენეთ შემდეგი ორი ლექსიკონი: ესპანურენოვანი ჟარგონის განმარტებითი ონლაინ ლექსიკონი და ლევან ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“ (2005).

ძირითადი ნაწილი

სოციალური თვალსაზრისით ენა არ წამოადგენს ერთგვაროვან ფენომენს. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში წერდა ესპანელი ენათმეცნიერი გონსალო კორეასი, რომ დიალექტების გარდა ენას კიდევ ჰქონდა სახესხვაობანი და განათლების დონის, ასაკის, წარმომავლობის, საქმიანობის, გეოგრაფიული მდებარეობის ან სოციალური მდგომარეობის მიხედვით განარჩევდა სოფლად მაცხოვრებელთა, ქალაქელთა, სწავლულთა, მოხუცთა, დიდგვაროვანთა და მქადაგებელთა ენას.

საერთო-სახალხო ენის ერთ-ერთი განშტოება არის ჟარგონი. ჟარგონს განმარტავენ როგორც კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფის ან კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლების თავისებურ მეტყველებას, რომელიც საერთო სალაპარაკო ენისგან სპეციფიკური ლექსიკით და ფრაზოლოგიური ერთეულებით განსხვავდება. ჟარგონული ლექსიკა ლიტერატურული ენის ბაზაზე ძირითადად სიტყვებისათვის მნიშვნელობის შეცვლით, სემანტიკური გარდაქმნით იქმნება (მაგალითად: *abrirse* – „მოტყდეს“/„მოხიოს“) და განსაზღვრული ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციის დროს გამოიყენება. ჟარგონს არ გააჩნია საკუთარი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემა.

ჟარგონი არის სოციალური დიალექტი, რომელსაც იდენტური ინტერესების, ასაკის, სოციალური მდგომარეობის, პროფესიის მქონე პირები იყენებენ ერთმანეთთან კომუნიკაციისას. ამ ტიპის სოციალური ჯგუფებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალგაზრდების ჯგუფი და მათი მეტყველების თავისებურება. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდული ჟარგონი ყალიბდება დიდ ქალაქებში და მისი ძირითადი მომხმარებლები არიან სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები, რომელთა ასაკიც მერყეობს 14-დან 22 წლამდე (ზოგი მკვლევარი ამ ასაკს

30 წლამდეც ზრდის). ახალგაზრდების მიერ გამოყენებული ჟარგონის მთავარი მახასიათებლებია სპონტანურობა, ექსპრესიულობა, მუდმივი განახლებადობა და სინტაქსური შეუსაბამობა.

ძალზედ მრავალფეროვანია ჟარგონის თემატიკა. ესპანელი ახალგაზრდების მიერ გამოყენებული ჟარგონი ძირითადად დაკავშირებულია მათთვის საინტერესო სფეროებთან და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) სწავლა და მეცადინეობა: *maqueta* ‘ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი მოსწავლე ან სტუდენტი’, *fichado* ‘მასწავლებლის მიერ ამოჩემებული მოსწავლე ან სტუდენტი’, *desgastarse* ‘სწავლისგან გადაქანცვა’, *hincar los codos* ‘ბევრი მეცადინეობა’, *incubar* ‘მოკლე დროში ბევრი რამის სწავლა, ტვინის დასხმა’;

ბ) სამსახური: *curro* ‘სამუშაო’, *pelotear* ‘პირფერობა დაწინაურების მიზნით’;

გ) მხიარულება და გართობა: *movida* ‘ღონისძიება, მოვლენა, პონტი’, *desmadre* ‘ხმაურიანი გართობა, გრიალი’, *pasarle de puta madre* ‘კარგი დროსტარება’. აღნიშნული სფერო ყველაზე მრავალფეროვანია, რადგან მოიცავს სასმელთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებსაც (მაგალითად: *privar* ‘ალკოჰოლური სასმელის მიღება, *harina* ‘დაბალი ხარისხის ჰაშიში, ტრუხა’ და სხვ.);

დ) სექსუალური ურთიერთობები, სიყვარული, ფლირტი: *comer la polla* ‘სქესობრივი კავშირი’, *morrear* ‘კოცნა’, *romper marcos* ‘პარტნიორის დალატი, რქების დადგმა’.

ზემოაღნიშნული თემების გარდა, ესპანელი ახალგაზრდები ჟარგონს იყენებენ ადამიანის სხეულის ნაწილების აღსანიშნად (მაგალითად, *calabaza* ან *coco* გამოიყენება თავის აღსანიშნად, *patas* – ფეხების, *pechuga* – მკერდის და ა.შ.) ან პიროვნების, საგნის, მოვლენის აღწერა-შეფასებისათვის (*acojonado* ‘მხდალი’, *flipante* ‘გასაოცარი’, *de puta madre* ‘ფანტასტიკური’, *que te cagas*

‘შესანიშნავი’). ჟარგონების ენაში დამკვიდრება ბუნებრივია ზრდის სინონიმების რაოდენობასაც და ვიღებთ უფრო ვრცელ სინონიმურ რიგებს, მაგალითად: *cigarro de marihuana*-ს (მარიხუანის სიგარეტი) აღსანიშნავად ახალგაზრდები იყენებენ შემდეგ სინონიმურ ჟარგონებს - *porro*, *trompeta*, *mai* და *სხვ.*

საწყის ეტაპზე ჟარგონი მხოლოდ ზეპირმეტყველებისათვის იყო დამახასიათებელი. დღეს მდგომარეობა შეცვლილია და ესპანელი ახალგაზრდები ჟარგონს იყენებენ როგორც ზეპირი, ისე წერილი კომუნიკაციის დროს სატელეფონო შეტყობინებების და სხვადასხვა სოციალურ ქსელში გაგზავნილი მესიჯების სახით. წერილი კომუნიკაციის დროს ახალგაზრდები იყენებენ იგივე ლექსიკურ ერთეულებს, თუმცა შემოკლებული ფორმით. წერილი კომუნიკაციის დროს ესპანელი ახალგაზრდები უარს ამბობენ სიტყვების სრულად დაწერაზე, რასაც სწრაფი კომუნიკაციის სურვილით ხსნიან. სიტყვის შეკვეცილი ფორმა ხშირად ფონეტიკურ წესებსაც არღვევს, რაც ნათლად ჩანს იმ მაგალითებში, სადაც /კ/ ფონემა ფიქსირდება (*k - que*, *km - como*).

მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჟარგონის ხშირი გამოყენება იწვევს ესპანური ენის დეგრადაციას, მეორე ნაწილი კი პირიქით, თვლის, რომ ჟარგონი ესპანურ ენის ლექსიკას ამდიდრებს და ენის დეგრადაციის მაგალითად მხოლოდ შემოკლებული ფორმების და „*tipo/cosa*“-ს გახშირებულ გამოყენებას ასახელებს. შემოკლებულ ფორმებს ესპანელი ახალგაზრდები მოკლე ტექსტური შეტყობინებების მიმოწერის დროს იყენებენ, ხოლო „*tipo*“ და „*cosa*“-ს მაშინ იშველიებენ, როცა სურთ რაღაცის აღწერა, მაგრამ ვერ პოულობენ სათანადო სიტყვებს (*no sé, una cosa así*). ესპანელი ახალგაზრდების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული შემოკლებული ფორმებია: *ktl?* - *¿qué tal?* (როგორ ხარ? რას შვრები?), *aki -*

aquí (აკ), *bss - besos* (გკოცნი), *k - que* (რა), *km - como* (როგორ), *tmb - también* (ასევე), *tq - te quiero* (მიყვარხარ), *x - por* (-თვის, მიერ), *xo - pero* (მაგრამ) და *სხვ.* მეცნიერთა მეორე ნაწილი თვლის, რომ ჟარგონის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების მიერ გამოყენებული ჟარგონების როლი, ესპანური ენის ევოლუციის პროცესში, მნიშვნელოვანია, რადგან ჟარგონი, ერთი მხრივ, ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ესპანური ენის ლექსიკას, ხოლო მეორე მხრივ, ახალგაზრდების კრეატიულობასა და ექსპრესიულობაზე მეტყველებს.

გარდა იმისა, რომ ესპანელი ახალგაზრდები ენაში დამკვიდრებულ სიტყვას მნიშვნელობას უცვლიან და ამ გზით ქმნიან ჟარგონს, ისინი აქტიურად იყენებენ სიტყვაწარმოებით პროცესებს და სხვადასხვა მეტყველების ნაწილების შერწყმით ქმნიან კომპოზიტ ჟარგონებს, მაგალითად: *duermeevejas* (*dormir+ovejas*) ‘მოსაწყენი’, *policieto* (*policia+bicicleta*) ‘პოლიციის ოფიცერი, რომელიც პატრულირებს ველოსიპედით’, *buenro* (*bueno+rollo*) ‘სასიამოვნო გარემო’ და ა.შ. ესპანელი ახალგაზრდები არც დერივაციულ პროცესებს იფიქსებენ და პრეფიქსებისა და სუფიქსების გამოყენებით ახალ ჟარგონს აწარმოებენ. პრეფიქსალურ დერივაციას სიტყვის მნიშვნელობის გასაძლიერებლად იყენებენ და ახალ ჟარგონს *super* პრეფიქსის გამოყენებით ქმნიან, მაგალითად: *superguapo* ‘ძალიან სიმპატიური’, *superdificil* ‘ძალიან რთული’, *superguay* ‘საუცხოო, შესანიშნავი’. დერივაციის მორფოლოგიური პროცესი სუფიქსალურია შემდეგ ჟარგონებში: *bombonazo* ‘ლამაზი’, *drogata* ‘ნარკოლამოკიდებული ადამიანი’, *bombazo* ‘მოულოდნელი, შოკისმომგვრელი’ და *სხვ.* აქვე უნდა აღინიშნოს არსებითი და ზედსართავი სახელებიდან ზმნების წარმოების ტენდენცია, რომელიც უფრო და უფრო ხშირად ვლინდება ახალგაზრდების მიერ საკუთარი ენის ჩამოყალიბების პროცესში. ამ ტიპის ზმნები უღლების

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება: mensajear 'მოკლექსტური შეტყობინების გაგზავნა', cotillear 'ჭორაობა, ყბედობა' და სხვ.

აქტუალურია აპოკოპირებული ფორმის გამოყენებაც: cari (<caríño) 'საყვარელო, ძვირფასო (გამოიყენება მიმართვის დროს)', sudaca (<sudamericano) 'სამხრეთამერიკელი', finde (< fin de semana) 'შაბათ-კვირა' და სხვ. თუმცა, აპოკოპირებული ფორმები მხოლოდ ახალგაზრდების მეტყველებას არ ახასიათებს. სიტყვების შეკვეცილ ფორმებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მეტყველებაშიც ვხვდებით: bici (<bicicleta) 'ველოსიპედი', cole (<colegio) 'კოლეჯი, სკოლა', moto (<motocicleta) 'მოტოციკლეტი', peli (<película) 'ფილმი', profe (<profesor) 'მასწავლებელი, პროფესორი', tele (<televisión) 'ტელევიზორი'.

ესპანელი ახალგაზრდების ჟარგონს კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვების დამკვიდრება. ამ მხრივ აღსანიშნია ინგლისური ენა. ესპანელი ახალგაზრდების მეტყველებაში მრავლად ვხვდებით ინგლისური ენიდან მიღებულ ჟარგონებს: chat 'ჩატი, ინტერნეტის მეშვეობით კონტაქტი', look 'ჩაცმულობა, სტილი', cool 'რადაც ძალიან კარგი, საინტერესო ან ლამაზი', party 'წვეულება, გასართობი საღამო', loser 'უიღბლო, არაფრის მაქნისი', friki 'უცნაური, ახირებული', estar out 'მოდინიდან გადასული, გარეთ ყოფნა', likear 'მოწონება', googlear 'google-ს საძიებო სისტემაში ძებნა' და სხვ. ინგლისური ენის გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა სწავლის, სამსახურეობრივი საქმიანობისა და ინტერნეტის სფეროში, სადაც ზოგადად ჭარბობს ანგლიციზმები. ესპანელი ახალგაზრდების ჟარგონს ამერიკის ესპანურენოვანი ქვეყნებიდან შემოსული სიტყვებიც ახასიათებს, მაგალითად: dinero-ს ნაცვლად plata (ფული), móvil-ის ნაცვლად celular (მობილური ტელეფონი) და სხვ. აღნიშნული მოვლენა სავარაუდოდ განპირობებულია ინტერნეტ კომუნიკაციის, სატელევიზიო პრო-

გრამების, ლათინოამერიკული ფილმებისა და სერიალების ხელმისაწვდომობით. მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაცვლითი სასწავლო პროგრამებიც, რომლის ფარგლებშიც უამრავი ესპანელი სტუდენტი მიემგზავრება ლათინურ ამერიკაში ან პირიქით.

დასკვნა

ამრიგად, განხილულმა მასალამ გვაჩვენა, რომ ესპანელი ახალგაზრდების მიერ გამოყენებული ჟარგონი მოიცავს ყველა იმ თემას, რომელიც ახალგაზრდების ინტერესის სფეროებთან არის დაკავშირებული. განხილულმა მასალამ გვაჩვენა ისიც, რომ ესპანელი ახალგაზრდები საკუთარი სპეციფიკური ენის შესაქმნელად იყენებენ ანგლიციზმებს, სიტყვაწარმოებითი პროცესებით აწარმოებენ ახალ ჟარგონებს და ენაში უკვე დამკვიდრებულ სიტყვებს უცვლიან მნიშვნელობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟარგონი და ჟარგონული ლექსიკა განუწყვეტლივ განახლებას განიცდის, რაც საკვლევი თემის მუდმივ აქტუალობას განაპირობებს.

ლიტერატურა

1. ბრეგაძე ლ. (2005): „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“. თბილისი
2. გაბუნია ქ. (2009): „შესავალი სოციოლინგვისტიკაში“. თბილისი
3. Gavilanes Franco, E., Aguilar E. (2008): „Voces y expresiones del argot juvenil madrileño actual”
4. Iglesias J. M. (2003): „Diccionario del Argot Español”. Madrid
5. ესპანურენოვანი ჟარგონის განმარტებითი ლექსიკონი
<https://www.jergasdehablahispana.org/>

The Role of Jargon in the Speech of Spanish Youth

Marine Kobeshavidze
Tbilisi state university
Faculty of Humanities
36 Chavchavadze Ave, 0179, Tbilisi, Georgia
Tel: 591 222 007
E-mail: mkobeshavidze@yahoo.com

Nino Chrikishvili
Tbilisi state university
Faculty of Humanities
36 Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel: 598 165 756
E-mail: n.chrikishvil@yahoo.com

Abstract

Social dialect - jargon is a variant of the language used by people of different ages, education, professions or social status when communicating with each other. In recent years, especially actual has become the study of the spoken language of Spanish youth, which is full of Anglicisms, specific vocabulary with changed meaning and the words derived through various word-formation processes. The language used by Spanish young people to communicate with each other is also varied thematically.

The jargon of Spanish young people and the main linguistic characteristics of their spoken language are the main topics of the article. In the paper we discuss the above-mentioned type of specific vocabulary according to both thematic and linguistic characteristics.

Keywords:

jargon, social dialect, stylistic and morphological devices, specific vocabulary.

Роль жаргона в речи испанской молодежи

Кобешавидзе Марине Валериевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе N 36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 591 222 007
E-mail: mkobeshavidze@yahoo.com

Чрикишвили Нино Гелаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе N36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 598 165 756
E-mail: n.chrikishvil@yahoo.com

Резюме

Социальный диалект – жаргон, это тот вариант языка, которого употребляют люди разного возраста, образования, профессии или социального состояния, во время коммуникации междусобой. В последние годы особо актуальными стали исследования разговорной речи испанской молодежи, которая полна англицизмами, значения измененная специфической лексикой, а также слов, создавшихся во время процессов словопроизводства. Употребляемый испанской молодежью коммуникативный язык многогранен и тематичен.

Главной темой статьи является жаргонный язык испанской молодежи и главные лингвистические свойства их коммуникативной речи, рассматриваем специфическую лексику этого типа как тематично, так и лингвистическими характеристиками.

Ключевые слова:

жаргон, социальный диалект, стилистические и морфологические средства, специфическая лексика.

სემუელ ბეკეტი - ორმოცდაათიანი წლების ავანგარდიზმის წარმომადგენელი

ხათუნა წიკლაური
საქართველოს უნივერსიტეტი
ევროპული ენებისა და ფილოლოგიის
დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77ა, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ: 599 541 462
E-mail.:kh.tsiklauri15@gmail.com

რეზიუმე

მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში ირლანდიელი მწერლის სემუელ ბეკეტის შემოქმედება ერთ-ერთი ყველაზე რთულია. მის სავიზიტო ბარათად იქცა პიესა „გოდოს მოლოდინში“, რომელიც თავდაპირველად ფრანგულ ენაზე დაწერა, ხოლო მოგვიანებით მანვე თარგმნა ინგლისურად, რომელმაც მას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

აბსურდის დრამამ საფრანგეთში მიიღო კლასიკური ხასიათი. თავად აბსურდის თეატრის წარმომადგენლები ტერმინში „აბსურდი“ გულისხმობენ სამყაროს აბსურდულობას, რაც ახასიათებს თანამედროვე ადამიანს, უარყოფენ რა ადამიანის გონების ძალას უპირატესობას ანიჭებენ ინსტინქტებს. იგი დღემდე მოიხსენიება ლიტერატურული კრიტიკის ყველაზე აქტიურ დრამად, რომელმაც შექმნა ახალი ენა, ახალი იდეები, ახალი ცხოვრებისეული ფილოსოფია. სწორედ აბსურდის თეატრის წარმომადგენელი იყო სემუელ ბეკეტი. ბეკეტის აბსურდის თეატრი ახალი ენობრივი და დასემანტიკური ფორმებით ხსნის სამყაროს აბსურდულობის შინაარსს, დარღვეული ლექსიკით, არათანამიმდევრული სიუჟეტებით, ხასიათთა ფსიქოლოგიურ მონახაზზე უარის თქმით.

ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა რიჩარდ ოლდინგტონმა ბეკეტს „არაჩვეულებრივი შეშლილი“ უწოდა და ამით გამო-

ხატა თავისი აღტაცება მისი უჩვეულო ნიჭის მიმართ. მართლაც, მეოცე საუკუნის სხვა გენიალურ „შეშლილ“ შემოქმედთა შორის ბეკეტს სრულიად განსხვავებული ადგილი უჭირავს.

საკვანძო სიტყვები:

აბსურდის დრამა, „აბსურდი“, დარღვეული ლექსიკა, არათანამიმდევრული სიუჟეტები, ალუზიურობა, ირონია, სტილისტური თავისებურებები, სიჩუმე, სტრუქტურული მრავალპლანიანობა, ინდივიდი, მხატვრული ხერხები, კალენდარული დრო, პერსონაჟების დიალოგი.

შესავალი

თავისებური წერის მანერით, დროში გაურკვეველი მოქმედებებით და პერსონაჟთა აუხსნელი, აბსურდული მდგომარეობით ბეკეტმა თავიდანვე მიიპყრო მსოფლიო ლიტერატორების ყურადღება. ის ორმოცდაათიანი წლების ავანგარდიზმის წარმომადგენელია ფრანგულ მწერლობაში.

წინა ეპოქების თეატრი აირეკლავდა თავისი დროის მორალურ ფასეულობებს, იმ საზოგადოებისას, რომელთა მიზნები ნათელი იყო მაყურებელთათვის. სწორედ ასეთი იყო შუა საუკუნეების მისტერიული პიესები, სადაც აშკარად ჩანდა პროგრესის აუცილებლობა და ევოლუცია. ასეთი სპექტაკლების მაყურებლისათვის არაფერი იყო მცდარი და საეჭვო, თუმცა თანამედროვე ეპოქაში რელიგიური რწმენის დაკარგვამ, სოციალური და ბიოლოგიური პროგრესის იმედის არქონამ, მასობრივი განადგურების იარაღის შექმნამ დედამიწაზე საფუძველი გამოაცალა საყოველთაოდ მიღებულ ფასეულობებს. ამ ფაქტმა თავისთავად ჰპოვა ასახვა ხელოვნებაში. მეოცე საუკუნის ხელოვნები, კერძოდ კი დრამატურები, იძულებულნი შეიქნენ

თავიანთი ნაწარმოებები შეეთავსებინათ სახეცვლილ რეალობასთან.

საქმე ეხება კავშირის გაწყვეტას ტრადიციულ რომანთან, იმას, რომ ლიტერატურამ, ისევე როგორც ეს მასზე ადრე გააკეთა მხატვრობამ, თავიდან უნდა მოიცილოს ის, რაც საკუთრივ მას არ ეკუთვნის. ყველაზე გამორჩეული ნოვატორები – კაფკა, პრუსტი და ჯოისი უპირისპირდებიან რეალიზმს, რომელმაც თავისი დრო მოჭამა და რომლის სურათს საკმაოდ სქემატურად იძლევიან (რომ არ ვთქვათ კარიკატურულად), როგორც რომ გრეი, როცა იგი ბალზაკზე საუბრობს. “ახალი რომანისტები” უარყოფენ სხვადასხვა მიმართულების მიერ აღიარებულ ტრადიციული პერსონაჟის ცნებას, ე. ი. წინა პლანზე აღარ დგას ტიპიზირებული, განსაზღვრული, ყველა რეალისტური ატრიბუტით აღჭურვილი ინდივიდი (გვარი, სახელი, ოჯახი, პროფესია, სამყაროს ხედვა), აღარც რომანისეულ ფსიქოლოგიას უნდა მისდიონ, რომელსაც საკუთარი იდეოლოგიური ვარაუდები მუდმივ და მყარ ჭეშმარიტებად მიაჩნია. ასეთივე მიდგომით, საჭიროა ბრძოლა დეტერმინისტული მიზეზობრიობის წინააღმდეგ, რეალისტური ილუზიების მსხვრევა და შენების პროცესში თხრობის წარმოჩენა. ამ აზრით, ჟან რიკარდუს ნაშრომის “ახალი რომანის პრობლემები” [Ricardou 1967] ცნობილი ფორმულა აჯამებს მომხდარ შემობრუნებას: ”საქმე აღარ ეხება თავგადასავლის ძებნას, არამედ წერის თავგადასავალს“. წერა (L'écriture) გამოდის სცენაზე (ჟიდისეული პოეტიკის გამოყენებით), იმ მხატვრულ საშუალებათა დემონსტრაციისას, რომელიც ხაზს უსვამს ნარატიულ რეფლექსურობას; აუცილებელი ხდება სხვადასხვა კუთხით წარმოდგინო აღმნიშვნელის როლი და სიტყვათა თამაში, რომელიც აღარ ცდილობს ამოეფაროს “სამართლის მგვანებლობას“. “ახალი რომანის“ ორაზროვნება გამომდინარეობს ისტორიასა და ნაწარმოებში ასახული მოვ-

ლენისადმი მიმართებაში.

ბეკეტი დაინტერესებული იყო თავისი თანამემამულის, უკვე სახელგანთქმული ჯოისის ენობრივი ექსპერიმენტებით, დაუქინებით ეძებდა სიტყვის გამომხატველობით შესაძლებლობებს (აზრობრივს, ბგერითს, რითმულს); ჯოისის მსგავსად მიმართავდა ლიტერატურულ რემინისცენციებს, დაწერა ესე “ფინეგანის ქელეხზე” და შემდეგ დაეხმარა ავტორს ამ რომანის ფრანგულად თარგმნაში. დაახლოებით ორი წლის შემდეგ მათი გზები გაიყარა – ბეკეტს თავის ნიჭის განსაკუთრებულობა ხელოვნებაში საკუთარი გზების ძიებისაკენ უბიძგებდა.

ორმოცდაათიან წლებში მან საბოლოოდ მიატოვა ირლანდია. აქ არსებული სიტუაცია – ეროვნული გრძნობების გამძაფრება, ეკლესიის დიქტატი და მხატვრული ექსპერიმენტების მიმართ აშკარად მტრული დამოკიდებულება მწერალს სერიოზულ დაბრკოლებად მიაჩნდა შემოქმედებითი სრულყოფის გზაზე. ის თავის მეგობარს წერდა, რომ მისთვის გაუგებარია გამოთქმა “ირლანდიელი ხალხი” და ვერ წარმოედგინა, რომ “ირლანდიელ ხალხს შეეძლო რაიმეზე ფიქრი ან მოქმედება, გარდა ყველაზე ელემენტარული ფიქრებისა და მოქმედებებისა, რომლებსაც წარმართავენ მღვდლები და მათი მსახური დემაგოგები”.

ძირითადი ნაწილი

ბეკეტის მოთხრობების პირველი კრებული 1934 წელს გამოქვეყნდა. კრიტიკოსები თავიდან საკმაოდ ცივად შეხვდნენ მის ენობრივ ექსპერიმენტებს. მხოლოდ ცნობილმა პოეტმა დილან ტომასმა, რომელიც ბეკეტის შემოქმედების ერთ-ერთი პირველი რეცენზენტი გახლდათ, დაინახა მისი გრაციოზული შესაძლებლობები. “ეს არის კვლევები რთული და საოცრად ტრაგიკული პიროვნებისა, რომელსაც არ შეუძლია შეარიგოს ხილული სამყაროს ირეალურობა

უხილავის რეალურობასთან” - წერდა ის.

ომის საშინელმა გამოცდილებამ ბეკეტს ორგანიზებული, ტოტალური ძალადობის წინააღმდეგ პიროვნების უსაზღვრო უძლეულების შეგრძნება გაუძლიერა. აქედან კი მწერალმა გამოიტანა არსებობის კანონ-ზომიერების ძირითადი დასკვნა – თანამედროვე სამყარო მტრულადაა განწყობილი ინდივიდის მიმართ; მის შემოქმედებაში წინა პლანზე წამოიწია სიცოცხლის აღქმა მეტაფიზიკურ ასპექტში. ყოფის აბსურდულობა, მიწიერი არსებობის უაზრობა, ადამიანის ტოტალური განწირულობა იქცა მის მთავარ თემებად. ამასთან ბეკეტი ცდილობს გაფანტოს ლამაზი ილუზიები, რომლებიც საშიშნი არიან იმიტომ, რომ ჭეშმარიტებას ჩქმალავენ. ჭეშმარიტება კი მწარეა და სასტიკი, მისი ჩაწვდომა მტკივნეულია, მაგრამ შემეცნება ერთადერთი გზაა სულიერი თავისუფლებისაკენ. ბეკეტი ეხმიანება თანამედროვე ფილოსოფიის იმ მიმართულებებს, რომლებიც სათავეს იღებს კიერკეგორის გაუცხოების ტენდენციისაგან, ასევე ეგზისტენციალიზმის იდეებს და ჰაიდეგერის თეორიებს სიკვდილის წინაშე უძლეულებაზე. ხატავს რა ადამიანს, რომელიც განწირულია დამარცხებისთვის მტრულ გარემოში, მწერალი გვაძლევს არა სოციალურ-იდეოლოგიურ ანალიზს, არამედ სინთეზურ სახეს, რომელსაც უნივერსალური ხასიათი აქვს. ამ სახის შესაბამისად იკვეთება ადამიანის დანიშნულება – ის არის გზაზე მოხეტიალე მგზავრი. მისი მოგზაურობა შეადგენს მთელ მოქმედებას, თუმცა თავად არ იცის, საით მიდის.

მისი აზრით, თანამედროვე ხელოვანის მიზანი უნდა იყოს გამოსატვა იმისა, რომ აღარაფერია გამოსახატავი. ახლა მხოლოდ ეს “აღარაფერი” შეიძლება გამოსატო, მაგრამ როგორ შეიძლება შეიქმნას დამაჯერებელი პიესა ამ “არაფრისაგან”? მიუხედავად ბეკეტის შემოქმედების მრავალფეროვნებისა, საინტერესო აღმოჩნდა მისი ერთ-ერთი

პიესა “გოდოს მოლოდინში“, რომელიც მთელ მსოფლიოში გახმაურდა და ისეთი განსხვავებული წერის მანერის მქონე დრამატურგების ქება დაიმსახურა, როგორებიც იყვნენ ტენესი უილიამსი, უილიამ საროიანი და სხვები. სპექტაკლში მართლაც ყველაფერი “აბსურდულია“. მასში ორი კლოუნისმაგვარი მოხეტიალე ლაპარაკობს, ჩხუბობს, ხანაც თვითმკვლელობის ჩადენას ლამობს. მათი საუბარი ზოგჯერ უმნიშვნელო საკითხებს შეეხება, ხან კი მეტაფიზიკურ პრობლემებს. ტრადიციულ თეატრს მიჩვეული მაყურებლისათვის სცენაზე ყველაფერი უჩვეულო იყო და ზემოხსენებულ პრემიერაზე მათმა დიდმა ნაწილმა დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი. მაგრამ სპექტაკლი დიდ მოვლენად იქცა მთელი ევროპისთვის და დასავლეთის დრამატურგიაში ახალი მიმართულება გააჩინა „აბსურდის თეატრის“ სახელწოდებით.

აბსურდის თეატრი სწორედ ამ ახალი ეპოქის პირმშოა. ის წარმოადგენს სამყაროს, როგორც გაუგებარ, საიდუმლოებით მოცულ ადგილს. მაყურებლები ისე უყურებენ სპექტაკლს, რომ ბოლომდე ვერ ხვდებიან იქ მიმდინარე ამბების არსს, მათ საშუალება არა აქვთ გაიზიარონ პიესაში მოქმედი გმირების ემოციები, რადგან შეუძლებელია ისეთ პერსონაჟთან გააიგივო თავი, რომლისაც ბოლომდე არ გესმის, რომელთა საქციელი და მოტივები გაუგებარია. ამიტომ იქმნება დისტანცია სცენაზე მიმდინარე მოვლენებსა და მაყურებლებს შორის, მაგრამ მაყურებელი აშკარად გრძნობს, რომ ესა თუ ის პიესა რაღაცით ჰგავს არსებულ რეალობას.

ბეკეტის თეატრის არსი სიჩუმეა, მაგრამ იგი მაინც კარგად წარმოაჩენს ყოფიერების სიცარიელეს, ადამიანთა მყოფადობის ცინიზმს. მის შემოქმედებას საფუძვლად მხოლოდ ტკივილი და ადამიანთა შეუწყვეტელი ღაღადი უდევს, მაგრამ არც ისაა გარკვეული, თუ საითაა ეს ღაღადი მიმართული,

რადგან თავად ავტორი რწმენის მხრივაც ისეთივე ორიგინალური იყო, როგორც შემოქმედების მხრივ. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მან თავისი შემოქმედების თითოეული პერსონაჟი რაღაცნაირი შიშნარევი იმედებისა და უაზრო ურწმუნოების ზღვარზე დატოვა და ჩაკეტილ დროსა და სივრცეში მიუსაჯა არსებობა.

მისი დრამატურგიისათვის დამახასიათებელია პერსონაჟთა სიმცირე, ინტრიგისა და დეკორაციის არქონა, უსხეულო მოქმედებათა რიგი, რომელიც აშიშვლებს სამყაროსა და ადამიანს, რათა ჩასწვდეს მის შინაგან ბუნებას და სააშკარაოზე მისი ნამდვილი სახე გამოიტანოს.

ნაწარმოები სიმბოლოებითაა დატვირთული და ორი ნაწილისაგან შედგება. იგი მოკლებულია ყოველგვარ თეატრალურ კონვენციას, პერსონაჟების დიალოგი და მოქმედება მთლიანად აბსურდულია, კითხვები ყოველთვის დაუსრულებელია, პასუხები კი ბუნდოვანი და გაუგებარი. ასეთი პიესების დიალოგები, ერთი შეხედვით, უაზრო, მექანიკური გამეორებაა სტერეოტიპული ფრაზებისა. მართალია, პერსონაჟები წამდაუწუმ იცვლიან თავიანთ პიროვნულობას სპექტაკლის განმავლობაში, აბსურდის თეატრის მაყურებლები ხედავენ მხოლოდ გროტესკულად გაზვიადებულ სურათს თავიანთი არსებობისა ამ სამყაროში, სადაც არსებობის აზრი, რწმენა და ნების ჭკმმარტი თავისუფლება კი დაკარგულია. ამ აზრით აბსურდის თეატრი მართლაც ჩვენი ეპოქის თეატრია.

დასკვნა

სამუელ ბეკეტის სამყარო ყოველგვარი ორიენტაციის გარეშეა დარჩენილი, ამ სამყარომ ღმერთი დაკარგა, ადამიანთა მოქმედებები მოკლებულია ყოველგვარ მიზანს, იდეები კი აზრს. დიალოგი ხშირად ფრაგ-

მენტულია, დასკვნები ყოველად ალოგიკური, ალუზიები - ხაზგასმით უეშმაკო, მოქმედება - მექანიკური, მაგრამ უმნიშვნელო საუბარიც კი მნიშვნელოვან ფიქრებს აღძრავს მაყურებელში. აქ დუმილი ისეთივე დატვირთვას იძენს, როგორც ნებისმიერი დიალოგი, არაფერი აქვს საერთო ჩვეულებრივ, ყოველდღიურ სინუმესთან, არც სასოწარკვეთით გამოწვეულ მღუმარებასთან. ეს რაღაც განსაკუთრებული, “ბეკეტისეული” სინუმეა, არარსებულის რეალურობა, თვით არსებობის საფუძველშივე რომ ამოიცილობა, თითქოს პირველად იყო სინუმე, შემდეგ კი – სიტყვა და კვლავ სინუმე. “გოდო” აუქმებს რეალისტური თეატრის მთავარ კომპონენტს, პერსონაჟის “განსაზღვრულობას”. ალბათ, სწორედ ასეთი დამოკიდებულება არის მიზეზი მისი პიესების ასეთი უცნაურობისა. „ხშირად მეკითხებიან, რისი თქმა სურთ ჩემს პერსონაჟებს, მე მხოლოდ სული შთაგებერე მათ და ადამიანთა სამყაროში გზა დაუფლოცე, ახლა ისინი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ, თუ სადმე გადაეყრებით, კითხვებზე პასუხი მათ მოსთხოვეთ“. ასეთი თავისუფალი და ინტრიგებით საგსე პასუხები ჰქონდა ბეკეტს და დღემდე მსოფლიო ლიტერატურაში ამოუხსნელ ფენომენად მიიჩნევა.

სწორედ მრავლისმეტყველი სინუმითა და თითქმის ცარიელი სცენით გადმოსცა ბეკეტმა მეოცე საუკუნის მთელი “გასაჭირი”, ადამიანის მდგომარეობა მოლოდინია, ქმედება – დროის გაყვანა.

ლიტერატურა

1. Sarraute N. (1986): Flaubert le précurseur. Paris: Gallimard.
2. კამიუ ა. (1942): А. Камю. Миф о Сизифе
3. სარტრი ჟ. პ. (2006): ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმი. თბილისი: ჯეოპრინტი
4. ცინცაძე თ. (1972): ბეკეტი სემიუელ:

გოდოს მოლოდინში

5. წიკლაური ხ. (2007): “აღბერ კამიუ ფი-
ლოსოფოსი და მისი უდანასაუღლობის კონ-
ცეფცია“.

6. Bruno Clément (1994): L’œuvre sans qualité.
Rhétorique de Samuel Beckett. Seuil

7. Nathalie Léger (2006):. Les Vies silencieuses
de Samuel Beckett. Allia

8. Gérard Piacentini (2006): Samuel Beckett mis
à nu par ses auteurs, même. Nizet

9. Anthony Cronin, Samuel Beckett (1997): The
Last Modernist. New York. Da Capo Press

10. Beckett S. (1994): En attendant Godot. Les
Éditions de Minuit

11. Ricardou J. (1967): Problèmes du nouveau
roman

Samuel Beckett - is a Representative of the Avant-Garde of the Fifties

Khatuna Tsiklauri

University of Georgia

Department of European Languages and Philology

77a, Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 541 462

E-mail: kh.tsiklauri15@gmail.com

Resume

The outstanding Irish writer Samuel Beckett is considered to be one of the most complex and sophisticated writers in 20th century literature. Beckett invited attention of world literature due to his individual style characterized by time-disoriented activities and absurd state of his characters. He is the representative of the avant-garde French Literature of 50ies. The play “Waiting for Godot” is his artistic identity, firstly written in French, later translated into English. This masterpiece got him fame. Beckett’s world exists without any orientation. This world lost the God, human activities are aimless, ideas – senseless.

Beckett’s approach to religion is as odd as his plays are. The main line of Beckett’s works is the observation of extremely tragic individuals who can not match the irreality of the visible world with the reality of the visible one.

The famous English writer Richard Aldington took Beckett for “Extraordinary Mad Man” he embodied his admiration to the writer in the very epithet. Indeed Beckett is among the 20th century genius “mad” writers.

Keywords:

Drama of the Absurd, “Absurd”, impaired speech, inconsistent stories, allusions, irony, stylistic features, silence, structural multiplicity, individual, literary techniques, calendar time, dialogue of characters.

Сэмюэл Беккет – представитель авангардизма 50-х годов XX века

Циклаური Хатуна Сергеевна

Университет Грузии

Департамент европейских языков и филологии

Ул. Костава N77a, 0175, Тбилиси, Грузия

Tel.: 599 541 462

E-mail: kh.tsiklauri15@gmail.com

Резюме

В мировой литературе XX века одной из трудновосприимчивых, является творчество ирландийского писателя Сэмюэла Беккета. Его визитной карточкой послужила пьеса “В ожидании Годо”. Она сначала была написана на французском языке, потом писатель ее перевел на английский, что привело его к всемирной славе.

Драма абсурда во Франции приняла классический характер. О ней до сих пор отзываются, как о самой активной драме в литературной критике, которая создала новый язык, новые идеи, новую жизненную философию. Представителем стиля театра абсурда является Сэмюэл

Беккет. Его театр абсурда создает новые языковые и семантические формы со смешанными сюжетами, с непонятной лексикой и отрицанием психотипов, разъясняет абсурдность мира. Знаменитый английский писатель Ричард Олдингтон назвал Беккета "Необыкновенным сумасбродом", чем показал свое восхищение к необычному таланту писателя. И правда, между другими гениальными "сумасбродными" творцами Беккет занимает особое место.

Ключевые слова:

Абсурд, драма абсурда, несопоставленные сюжеты, аллюзивность, ирония, стилистические свойства, тишина, структурная многопланность, индивид, художественные средства, календарное время, диалоги персонажей.

ფრანგული ენა და ფრანკოფონული ქვეყნები

ჩიკვინიძე ია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უცხოური ენების დეპარტამენტი

კოსტავას ქ. N77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ. : 551 453 531

E-mail : chikvinidze@gmail.com

რეზიუმე

XXსაუკუნის მეორე ნახევარში ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად, მართალია, ინგლისურმა ენამ დაიკავა მთავარი ადგილი, მაგრამ მას ევროკავშირის აუცილებელ სამუშაო ენად მოჰყვება ფრანგული ენა, შემდეგ მოდის ესპანური და რუსული ენები.

სხვადასხვა ენის არჩევა დამოკიდებულია არა მის ინდივიდუალურ უპირატესობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად ვრცელია ამ ენაზე მოსაუბრეთა არეალი. ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფოს ენას – ფრანგულ ენას კვლავ დიდი პერსპექტივა აქვს განამტკიცოს თავისი პოზიცია, საერთაშორისო კომუნიკაციის მოთხოვნათა თვალსაზრისით.

ფრანკოფონული საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პროცესების გაშუქებას და განხილვას, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო სექტორთა მხარდაჭერას ემსახურება.

საკვანძო სიტყვები:

ფრანგული ენა, ფრანკოფონია, საერთაშორისო ორგანიზაციები, ფრანკოფონული ქვეყნები.

შესავალი

დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანას – საფრანგეთს ევროპის კონტინენტის ფართობის 5% უჭირავს. საფრანგეთის ეროვნული და ოფიციალური ენა ფრანგუ-

ლი ენაა.

ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის ინსტრუმენტი, არამედ ესაა ცოცხალი, მოძრავი, მოქნილი იარაღი, რომელიც საზოგადოებრივ ფორმაციასთან ერთად იცვლება, მდიდრდება, გვიჩვენებს ამა თუ იმ სოციუმის ნაკლოვანებებსა თუ განვითარების ხარისხს და უხსნის მას სივრცეებს უკეთესი მომავლისათვის.

XX საუკუნის შუა წლებში შეიქმნა ფრანგულენოვანი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია – ფრანკოფონული ორგანიზაცია, სადაც დღეს, XXI საუკუნის 20-იან წლებში, შედის 54 სრულუფლებიანი წევრი-ქვეყანა, 7 – ასოცირებული წევრი-ქვეყანა და 27 ქვეყანა დამკვირვებლის სტატუსით [6].

ფრანკოფონულ ქვეყნებს აერთიანებთ: ფრანგულ ენაზე მოსაუბრე ერები და ეს გახლავთ იმ ხალხთა თანაკავშირი, ვინც მეტყველებს ფრანგულად (საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემით შეთავაზებული, დამატებითი, არჩევითი ენით. ასეთია, მაგ.: ბრაზილია, არგენტინა, საბერძნეთი, პოლონეთი, საქართველო, მოლდავეთი და სხვ.)

ეს ორგანიზაცია ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნებისთვის პოლიტიკური კადრების, ეკონომიკის, კულტურისა და საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებასა და ხელშეწყობაში.

ძირითადი ნაწილი

ფრანკოფონი (ფრანგულ ენაზე მოსაუბრე) მოსახლეობის რიცხვი მსოფლიოში 130 მილიონს აღწევს. ფრანგული ენა გამოიყენება მსოფლიოს 90-მდე ქვეყანაში, სადაც იგი მრავალ ფუნქციას ითავსებს ამ საზოგადოებათა პოლიტიკურ თუ საგანმანათლებლო სისტემებში.

ფრანგული ენა საერთაშორისო საკომუნიკაციო ენაა. ის ერთ-ერთი ოფიციალური და სამუშაო ენაა გაეროში (L'ONU) და სხვა მრავალ საერთაშორისო სპეციალიზირებულ ორგანიზაციებში - (L'UNESCO), ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოში, საერთაშორისო უმაღლეს სასამართლოში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში და მრავალი სხვა. ფრანგული ენა ასევე სამუშაო ენად გამოიყენება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორებიცაა - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (SAEM), ასევე გვევლინება ზოგიერთი საერთაშორისო კონგრესისა და სამიტების სამუშაო ენად. თუმცა მსოფლიო ასპარეზზე ინგლისური ენის გაბატონებამ, მართალია, ფრანგული ენის კონკურენცია მოახდინა, მიუხედავად ამისა, ეს ორივე ენა მაინც რჩება მთავარ სამუშაო ენად და ხშირად ფრანგულის პრესტიჟულობას უპირატესობა ენიჭება [1].

სხვადასხვა ქვეყნებში, ფრანგული ენა თანაარსებობს ამ ქვეყანათა ერთ, ან რამდენიმე ოფიციალურ ენასთან. ასეთია ბელგია, სადაც ფრანგული ენა გამოიყენება გერმანულ და ფლამანდიურ (ანუ ჰოლანდიურ) ენებთან ერთად, ლუქსემბურგში - ლუქსემბურგულთან და გერმანულთან ერთად, კანადაში - ინგლისურთან ერთად, შვეიცარიაში ფრანგული, გერმანული და იტალიური ენები სახელმწიფოს ოფიციალურ ენებადაა აღიარებული ერთდროულად. ამას გარდა, აქ ეროვნულ ენათა რიცხვს მიეკუთვნება რეტორომანული ენა, რომელსაც შვეიცარიის კონფედერაციის კონსტიტუცია აღიარებს, თუმცა სახელმწიფოში ოფიციალური ენის სტატუსი არ აქვს. ფრანგული ენა ასევე ოფიციალური ენაა მსოფლიოს ერთ-ერთ პატარა სახელმწიფოში - მონაკოში. ის ასევე ოფიციალურ ენად მიიჩნევა ანდორაში, სადაც მასთან ერთად გამოიყენება კატალონიური და ესპანური ენები.

მარტო კანადაში 8 მილიონამდე ფრანკოფონი (ფრანგულ ენაზე მოსაუბრე) ადამიანი ცხოვრობს. ხშირ შემთხვევაში ისინი ორენოვნებიც არიან, რადგან ევროპული შერეული ვარიანტებისგან განსხვავებით, კანადური ფრანგული ყველაზე მეტადაა დატვირთული ანგლიციზმებით. ფრანგული ენის კანადური ვარიანტი მოიცავს გამოთქმათა მთელ რიგ თავისებურებებს, ვიდრე წმინდა ფრანგული, მაგ.: გამოიყენება ზოგიერთი არქაული ფორმა - moi [mwe], roi [rwe] და სხვა, ასევე, საფრანგეთში ხმარებიდან გასული ზოგიერთი სიტყვა და მათი მნიშვნელობები. ევროპული შერეული ვარიანტებისგან განსხვავებით, კანადური ფრანგული ყველაზე მეტადაა დატვირთული ანგლიციზმებით.

თვით საფრანგეთში, ფრანგულს აქვს რამდენიმე დიალექტი. უმთავრესები მათ შორის არის ნორმანდიული, პიკარდიული, ლოთარინგიული, ბურგუნდიული. აქ ასევე გამოიყენება პროვანსული დიალექტი, რომელიც თავის სივრცეში მოიცავს 6 ტერიტორიალურ სახეცვლილებას, რომელთაგან აღსანიშნავია: გასკონური, ლიმუზინური, ლანგედოკური და ოვერნული მეტყველება. ხმელთაშუა ზღვაში არსებული კუნძული კორსიკა, რომელიც მრავალჯერადად ხელიდან ხელში გადადიოდა, დღეს საფრანგეთის ტერიტორიაა, სადაც გამოიყენება კორსიკული მეტყველება, თუმცა ოფიციალური ენა ფრანგული ენაა. ბელგიაში და ჩრდილო-საფრანგეთთან მის სასაზღვრო ტერიტორიაზე გავრცელებულია ვალონური დიალექტი.

აფრიკის 13 სახელმწიფოში ფრანგული ენა არ არის ეროვნული ენა, მაგრამ ის გამოიყენება ერთადერთ ოფიციალურ, სამუშაო ენად, ესენია: ბენინი, კოტ დ'ივუარი (სპილოს ძვლის სანაპირო), ბურკინა-ფასო (ზემო ვოლტა), გაბონი, გვინეა, ზაირი, კონგო, მალი, ნიგერია, სენეგალი, ტოგო, ჩადი, ცენტრალური აფრიკის სახელმწიფო.

ამ ქვეყნებში განსაკუთრებულად მნიშვნე-

ნელოვანია ფრანგული ენის გამოყენება, რომელმაც იტვირთა მათი მრავალი პრობლემის გატანა საერთაშორისო დიპლომატიურ თუ სამართლებრივ ასპარეზზე, ფრანგულ ენას იყენებს მათი პოლიტიკა, ინტელიგენცია და პრესის უმრავლესობა.

ზოგი აფრიკული ქვეყნები, საფრანგეთის უძველესი კოლონიები, რომელთაც თავიანთი ეროვნული და ოფიციალური ენები გააჩნიათ, ცხოვრების ზოგიერთ სფეროში კვლავ განაგრძობენ ფრანგული ენით სარგებლობას. ამ ქვეყნებში: მავრიტანია, ბურუნდი, ჯიბუტი, რუანდა, კომორის კუნძულები და მადაგასკარი - ოფიციალურ ენებად მიღებულია ერთდროულად ფრანგული ენა და მასთან ერთად, ერთ-ერთი ენა ადგილობრივი ენებიდან ან არაბული ენა. ასე რომ, ფრანგული ენა როგორც ოფიციალური, გამოიყენება მრავალ აფრიკულ ქვეყანაში და მასთან ახლომდებარე კუნძულებზე. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ოფიციალურ ენად მიჩნეულია არაბული ენა (ალჟირი, მაროკო, ტუნისი), ფრანგული ენის პოზიცია ამ ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ჯერ კიდევ საკმაოდ მყარია. კამერუნში ფრანგული ენა ოფიციალური ენის სტატუსს ინაწილებს ინგლისურ ენასთან, სეიშელის კუნძულებზე სამი ოფიციალური ენა ბატონობს: ფრანგული, ინგლისური და კრეოლური ენები [4].

ფრანგულ ენას პრივილეგირებული განათლების ენად დღემდე იყენებენ ასევე მადრიბის ქვეყნები, აზიური ქვეყნები - ლაოსი, ვიეტნამი, კამპუჩია. ამ ქვეყნებში ოფიციალურ ენებად მიღებულია ლაოსური ენა, ვიეტნამური ენა და კმერული ენა. ბოლო წლებში, ამ ქვეყნებში ფრანგული ენა, სულ უფრო და უფრო, უცხოური ენის სტატუსს დებულობს.

განვითარებადი ქვეყნების მთავრობები იღწვიან ადგილობრივ ფენებში სახალხო განათლების განსავითარებლად, ცდილობენ გააფართოვონ თავიანთ ენათა საზოგა-

დობრივი ფუნქციები და მაქსიმალურად ხელს უწყობენ ლინგვისტურ მიმართულებას ამ კუთხით. რაც შეეხება ფრანგულ ენას, თანამედროვე ეტაპზე ის კვლავ აქტიურად უზრუნველყოფს სახელმწიფოთშორისი და კონტინენტთაშორისი ურთიერთობების გამყარებას, რაც მისი საჭიროების პოზიციებს აძლიერებს.

ოფიციალურ ენად ფრანგული ენა მიჩნეულია ჰაიტის რესპუბლიკაში (რომელიც კუნძულ ჰაიტის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, შედის დიდი ანტილიის კუნძულთა არქიპელაგში), ასევე ოფიციალური ენაა საფრანგეთის “ზღვისიქითა ტერიტორიებზე”, რომლებსაც მართავენ ფრანგი გუბერნატორები და თავიანთი წარმომადგენლებიც ჰყავთ როგორც თავის ტერიტორიებზე, ასევე საფრანგეთის პარლამენტში.

ესენია: ფრანგული გვიანა (სამხრეთ ამერიკა), გვადელუპა და მარტინიკა (კუნძულები, რომლებიც შედიან მცირე ანტილიის კუნძულთა არქიპელაგში), რეიუნიონი (კუნძული, რომელიც მდებარეობს წყნარ ოკეანეში, მასკარენის კუნძულთა ჯგუფში), ფრანგული პოლინეზია (ტაიტის მსხვილი კუნძული), ახალი კალედონია.

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ ფრანგული ენა კვლავ შეინარჩუნებს თავის ღირსეულ ადგილს მსოფლიო ასპარეზზე, რაშიც მას დიდ ხელშეწყობას უწევს ფრანგულენოვანი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია – ფრანკოფონია. ეს ორგანიზაცია მსოფლიო პოლიტიკის მრავალი, მნიშვნელოვანი პროცესის გამოძახილია, ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობებში ობიექტური გზების მოძიებას, ხალხებს უხსნის ფართო ასპარეზს, გაეცნონ სხვადასხვა ერების კულტურულ მიღწევებს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშებს, რაც,

თავის მხრივ, მრავალფეროვანს ხდის ამ ხალხთა კულტურასა და განათლებას.

litics and to support cultural and educational processes.

ლიტერატურა

1. Lambert J. M. (1995-2000): Histoire de l'Europe. Terminales. Paris
2. Geopolitique de la France (2000) : Presses universitaires de la France.
3. Diouf A. (2003) : Le continent africain doit devenir une confederation. L'express.Paris
4. Матвишин В. Г, Ховхун В. П. (2000): Бизнес-курс французского языка. Логос. Киев
5. რ. თაბუკაშვილი, ი. ჩიქვინიძე (2017): მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები. თბ.
6. Francophonie-org/ 88-et-gouvernements-125

Keywords:

French language, francophone, international organizations, francophone countries.

Французский язык и франкоязычные страны

Чиквинидзе Ия Гиглаевна
Грузинский технический университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава N 77, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 551 453 531
E-mail : chikvinidze@gmail.com

French and Francophone Countries

Ia Chikvinidze
Georgian Technical University
The Department of Foreign Languages
N77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia
Tel. : 551 453 531
E-mail: chikvinidze@gmail.com

Abstract

In the second half of the 20th century, together with the expansion of the European Union, English took the leading place in it and was followed by French as a working language, then came Spanish and Russian. The choice of different languages does not depend on the individual advantage of the language, but on how wide the scope of the speakers of this language is. The language of the largest state in Europe - French, still retains great perspective to strengthen its position in terms of the need for international communication.

The International Organization of Francophonie serves to analyze significant processes in world po-

Резюме

Во второй половине XX века, совместно с расширением Евросоюза, в нем ведущее место занял английский язык, но за ним следует французский язык, как рабочий язык, после следуют испанский и русский языки.

Выбор разного языка зависит не от его индивидуального преимущества, а оттого, насколько широка область говорящих на этом языке. Язык самого большого государства Европы – французский, имеет большое преимущество, опять укрепить свою позицию, с точки зрения потребности международной коммуникации.

Международная организация франкофонии служит рассмотрению значительных процессов мировой политики, а также поддержке культурно-образовательных процессов.

Ключевые слова:

французский язык, франкофония, международные организации, франкоязычные страны.

პოეტური კონცეპტუალური მეტაფორისათვის (ჯორჯო კაპრონისა და ეუჯენიო მონტალეს ლექსების მაგალითზე)

მაია ჯავახიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 599 104 315
E-mail: maiajava@yahoo.com

რეზიუმე

ცხოვრება მოგზაურობაა - კარგად ცნობილი კონცეპტუალური მეტაფორაა კოგნიტიური მეტაფორის თეორიაში. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ აღნიშნული მეტაფორის რეალიზაციას ორი ცნობილი იტალიელი პოეტის - ჯორჯო კაპრონისა და ეუჯენიო მონტალეს ორი ლექსის მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები:

კოგნიტიური მეტაფორის თეორია, კონცეპტუალური მეტაფორა, პოეტური კოგნიტიური მეტაფორა, ცხოვრება მოგზაურობაა.

შესავალი

ლაკოფისა და ჯონსონის კონცეპტუალური მეტაფორის თეორიამ შეცვალა მეტაფორის ხედვა, რომელიც ამ თეორიის დამკვიდრებამდე არსებობდა და გვიჩვენა, რომ მეტაფორა არის არა მხოლოდ ენობრივი, არამედ ადამიანის აზროვნებისთვის დამახასიათებელი მოვლენა. აღნიშნული თეორია გვისჩვენებს პოეტური ტექსტის საიდუმლოს; ის ინდივიდუალურობა, რასაც პოეტური ნიჭის მიერ შექმნილი მეტაფორა ავლენს, არის „დაფარული“ ცოდნის შედეგი, რომელიც ზოგადად ადამიანს აქვს ე.წ. კონცეპტუალური მეტაფორის სახით; პოეტებიც იმ ბაზისურ კონცეპტუალურ მეტაფორებს მიმართავენ,

რომელიც ყველა ადამიანის ცნობიერებაში არსებობს.

ძირითადი ნაწილი

სიკვდილ-სიცოცხლის თემაზე უამრავი პოეტური ნიმუშია შექმნილი, მაგრამ ამ უთვალავი რაოდენობის უკან ცოტა კოგნიტიური ბაზისური (ნებისმიერი კონცეპტუალური მეტაფორა, რომელიც არის საყოველთაოდ გავრცელებული და ამასთანავე ისეთი „ჩვეულებრივი“, რომ გაუცნობიერებელია) მეტაფორა დგას. ამის საშუალებას პოეტებს მათი ახლებურად გადამუშავება აძლევთ, კონკრეტულად კი ეს ხერხებია: გაფართოება (extension), გადამუშავება (elaborating), კომბინირება (composing, combining), კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება (questioning). [1; 53:55] ისიც ცნობილია, რომ ბაზისური კონცეპტუალური მეტაფორები ყველა ადამიანის ცნობიერებაშია ფესვგამდგარი, სწორედ ეს გვაძლევს ამგვარ მეტაფორაზე დაფუძნებული პოეზიის გაგების საშუალებას [3: 52].

გამომდინარე იქიდან, რომ სიკვდილი და სიცოცხლე ჩვენთვის, ადამიანებისთვის, უმნიშვნელოვანესი კონცეპტებია, არ არის გასაკვირი, რომ მათი უთვალავი ენობრივი მეტაფორა არსებობს (კოგნიტიური მეტაფორა ენობრივი მეტაფორების საშუალებით ვლინდება, რის საფუძველზეც ვადგენთ მიზნის დომენის სტრუქტურას); ადამიანი ცდილობს, რომ გააცნობიეროს, აღწეროს, ჩაწვდეს, მიუახლოვდეს მათ რაობას, დაახასიათოს ისინი სხვადასხვა კუთხიდან. როგორც ლაკოფი და ტერნერი აღნიშნავენ, იმის გამო, რომ სიცოცხლე და სიკვდილი ძალიან მდიდარი მიზნის კონცეპტებია, ჩვენი მდიდარი გამოცდილების საფუძველზე შექმნილი წყაროს დომენით მათი მიზნის დომენების კონცეპტუალიზაციის დროს არ ხდება ამ

გამოცდილების ერთგვაროვანი და მკაფიო სტრუქტურირება; ამის ნაცვლად, მიზნის დომენის მრავალფეროვნების გადმოსაცემად ვახდენთ სტრუქტურის გადმოღებას ასეთივე მრავალფეროვანი წყაროს დომენიდან; [3:52] ამ მრავალფეროვნებიდან გამომდინარე გვაქვს ამ ცნებების ხშირად ურთიერთსაპირისპირო კონცეპტუალიზაცია. მაგალითად, ისეთი კონცეპტუალური მეტაფორები, როგორცაა *სიცოცხლე არის სიმდიდრე*, *სიცოცხლე არის მოგზაურობა*, *სიცოცხლე არის ტვირთი* - გვაძლევენ სრულიად სხვადასხვაგვარ ხედვას, ისინი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს ეხებიან; სწორედ ამ მრავალფეროვნებიდან გამომდინარეობს, რომ წყაროს დომენის სტრუქტურები ხანდახან ერთმანეთის საპირისპიროც არის: მაგალითად, ცხოვრების სრულიად სხვადასხვა ხედვას იძლევა ეს ორი მეტაფორა: *სიცოცხლე სიმდიდრეა* (სიცოცხლე ფასდაუდებელი რამაა, მას ვუფრთხილდებით) და *სიცოცხლე ტვირთია* (რომელსაც ვიშორებთ და ამით თავისუფლებას ვაძლევთ).

ჯორჯო კაპრონი [ლივორნო 1912 - რომი 1990], იტალიელი პოეტი, რომლის შემოქმედებაში სამი ძირითადი თემაა გამოყოფილი: ქალაქი (ძირითადად, გენუა, სადაც 10 წლის ასაკში გადავიდა საცხოვრებლად ოჯახთან ერთად), დედა და მოგზაურობა. სწორედ მოგზაურობის თემას ეხება მისი ლექსი *Congedo del Viaggiatore Cerimonioso* (ცერემონიული პოეტის დამშვიდობება), რომელიც შედის 1965 წელს დაბეჭდილ კრებულში *Congedo del Viaggiatore Cerimonioso e altre prosopopee*. კაპრონის დაგეგმილი ჰქონდა „poemetto dove mi piacerebbe descrivere una mia

calata nel limbo e un mio incontro con i morti, divenuto loro concittadino e fratello“ [ბეტოკისადმი მიწერილი წერილი “Roma, 9 marzo 1961”, ლ. მანდალისის მიხედვით 4:53]. მაგრამ ამგვარი ჩანაფიქრიდან, რომელსაც უნდა რქმეოდა *uscio dei morti*, ავტორმა შექმნა მხოლოდ ერთი ლექსი - თავად *fiogedo del Viaggiatore herimonioso*. ამგვარად, ეს ლექსი არის მოგზაურობა, უფრო ზუსტად, მისი დასასრული, საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ჩასვლა, თუმცა ის ჩაფიქრებული იყო როგორც ახალი მოგზაურობის დასაწყისი; რაღაცის ბოლო ხომ ყოველთვის რაღაცის დასაწყისია, იქით მხარეს გადასული მოგზაური უკვე ახალ მოგზაურობას იწყებს, რაც, მითოლოგიიდან მოყოლებული, ბევრი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოების თემაა, მაგრამ ამ შემთხვევაში კაპრონის ეს განზრახვა არ მიუყვანია ბოლომდე.

ამ შემთხვევაში მგზავრი მატარებელშია, ეს მისი ცხოვრების მატარებელია, რომელიც დანიშნულების ადგილას შეჩერდება, რათა თავისი მგზავრი ჩამოსვას. პოეტი თავის თანამგზავრებს ატყობინებს, რომ ის უნდა გაემზადოს - უნდა აიღოს ჩემოდანი, რადგან ახლოვდება მატარებლიდან მისი ჩასვლის დრო. რა თქმა უნდა, აქ საქმე გვაქვს კონიტიურ მეტაფორასთან - *ცხოვრება არის მოგზაურობა*: მატარებელი, რომელზეც ის სხვა მგზავრებთან ერთად იმყოფება, მისი დანიშნულების სადგურს უახლოვდება.

კონცეპტუალურ მეტაფორის - *ცხოვრება არის მოგზაურობა* - პროექციას ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარი სახე აქვს:

* „პატარა პოემა, რომელშიც სიამოვნებით აღვწერდი ჩემს ლიმბში ჩასვლას, ჩემს შეხვედრას მიცვალებულებთან, როგორ გავხდი მათი თანამოქალაქე და ძმა“

| მიზნის დომენი - ცხოვრება | წყაროს დომენი - მოგზაურობა |
|----------------------------------|--|
| ცხოვრების მიმდინარეობა | მატარებლით მოგზაურობა |
| ადამიანი | მგზავრი |
| ცხოვრებაში შექმნილი ღირებულებები | ნივთები, რომელიც ჩემოდანშია |
| სხვა ადამიანები | თანამგზავრები |
| რეალობა, გარემო | ხედი მატარებლის ფანჯრიდან (ბურუსით მოცული) |
| სიკვდილის უშუალო მოლოდინი | მატარებლის დერეფანი |
| სიკვდილის მოახლოება | წითელი დისკი (შუქნიშანი) მუხრუჭების ღრჭიალი |
| სიკვდილი | დანიშნულების სადგური |

Congedo del Viaggiatore Cerimonioso

| | |
|---|---|
| Amici, credo che sia meglio per me cominciare a tirar giù la valigia. Anche se non so bene l'ora d'arrivo, e neppure conosca quali stazioni precedano la mia sicuri segni mi dicono, da quanto m'è giunto all'orecchio di questi luoghi, ch'io vi dovrò presto lasciare. | მეგობრებო, ვფიქრობ ჩემთვის უკეთესი იქნება, დავიწყო ჩემოდნის გადმოღება. თუმცა ზუსტად არ ვიცი ჩასვლის დრო, არც ის ვიცი, რომელი სადგურები უსწრებს ჩემსას, სარწმუნო ნიშნები მეუბნება, მას შემდეგ, რაც ამგვარი ადგილების შესახებ გავიგე, რომ მე მალე უნდა დაგტოვოთ. |
| Vogliatemi perdonare quel po' di disturbo che reco. Con voi sono stato lieto dalla partenza, e molto vi sono grato, credetemi, per l'ottima compagnia. | მაპატიეთ ის მცირედი შეწუხება, რომელიც მომაქვს. თქვენთან ერთად გამგზავრებისთანავე კარგად ვგრძნობდი თავს, მერწმუნეთ, ძალიან მაძლიერი ვარ საუკეთესო კომპანიისთვის. |
| Ancora vorrei conversare a lungo con voi. Ma sia. Il luogo del trasferimento lo ignoro. Sento però che vi dovrò ricordare spesso, nella nuova sede, mentre il mio occhio già vede dal finestrino, oltre il fumo umido del nebbione che ci avvolge, rosso il disco della mia stazione. | კიდევ დიდხანს ვისურვებდი თქვენთან საუბარს. მაგრამ იყო ასე. არ ვიცნობ იმ ადგილს, სადაც გადავდივარ. თუმცა ვგრძნობ, რომ ხშირად უნდა გაგიხსენოთ ახალ საცხოვრებელში, ჩემი თვალი კი უკვე ფანჯრიდან, სველი ნისლის მიღმა, რომელიც ჩვენ შემოგვხვევია, ხედავს ჩემი სადგურის წითელ დისკს. |
| Chiedo congedo a vo senza potervi nascondere, lieve, una costernazione. Era così bello parlare insieme, seduti di fronte: così bello confondere i volti (fumare, scambiandoci le sigarette), e tutto quel raccontare di noi (quell'inventare facile, nel dire agli altri), fino a poter confessare quanto, anche messi alle strette, mai avremmo osato un istante (per sbaglio) confidare. | გეთხოვებით, ვერ გიმაღავთ მსუბუქ ტკივილს. რა კარგი იყო ერთად ლაპარაკი. ერთმანეთის პირისპირ ჯდომა, სახეების სასიამოვნო აღრევა, (სიგარეტის მოწევა, მისი ერთმანეთში გადაწოდება), მთელი იმ ამბების მოყოლა ჩვენზე, (ის სიადვილე გამოგონების, სხვებთან გაზიარების), იმის აღიარებაც, რომ ჩიხში მომწყვედეულებიც კი, ვერასდროს გაგბედავდით (შეცდომით) წამიერ მინდობას. |

| | |
|--|---|
| <p>Scusate. È una valigia pesante anche se non contiene gran che: tanto ch'io mi domando perché l'ho recata, e quale aiuto mi potrà dare poi, quando l'avrò con me.</p> <p>Ma pur la debbo portare, non fosse che per seguire l'uso. Lasciatemi, vi prego, passare. Ecco.</p> <p>Ora ch'essa è el corridoio, mi sento più sciolto. Vogliate scusare.</p> | <p>მაპატიეთ. ჩემოდანი მძიმეა, თუმცა ბევრი რამ არ არის მასში. ამიტომ ჩემს თავს ვეკითხები, რატომ წამოვიღე ის, რაში დამეხმარება მერე, როდესაც თან მექნება.</p> <p>და მაინც უნდა წავიღო თან, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი წესია. გამატარეთ, გთხოვთ.</p> <p>ასე. ახლა, როდესაც ის გასასვლელშია, უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს. კეთილი ინებეთ, მაპატიეთ.</p> |
| <p>Dicevo, ch'era bello stare insieme.</p> <p>Chiacchierare. Abbiamo avuto qualche diverbio, è naturale.</p> <p>Ci siamo – ed è normale anche questo – odiati su più d'un punto, e frenati soltanto per cortesia.</p> <p>Ma, cos'importa. Sia come sia, torno a dirvi, e di cuore, grazie per l'ottima compagnia.</p> | <p>იმას ვამბობდი, რომ კარგი იყო ერთად ყოფნა. ბაასი. გარკვეული კამათიც გვქონდა, რაც ბუნებრივია. არა ერთხელ კიდევ გვქულდა ერთმანეთი - და ესეც ჩვეულებრივი რამაა - და მხოლოდ თავზიანობის გამო შევჩერებულვართ.</p> <p>მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს. იყოს ისე, როგორც არის. ისევე გულითად მადლობას გადაგიხდით საუკეთესო კამპანიისათვის.</p> |
| <p>Congedo a lei, dottore, e alla sua faconda dottrina.</p> <p>Congedo a te, ragazzina smilza, e al tuo lieve ardore di ricreatorio e di prato sul volto, la cui tinta mite è sì lieve spinta.</p> <p>Congedo, o militare (o marinaio! Interra come in cielo ed in mare) alla pace e alla guerra. Ed anche a lei, sacerdote, congedo, che m'ha chiesto se io (scherzava!) ho avuto in dote di credere al vero Dio.</p> | <p>გემშვიდობებით თქვენ, ექიმო, და თქვენს მჭევრმეტყველურ სწავლებას.</p> <p>მშვიდობით შენც, სიფრიფანა გოგონავ, შენს სახეზე განახლებისა და მინდვრის მსუბუქ ვნებას, რომლის ნახი ვლფერი მსუბუქი ბიძგია.</p> <p>ვემშვიდობები, ოჰ, სამხედროვ, (ოჰ, მეზღვაურო! ხმელეთზე, ცაში და ზღვაზე) მშვიდობასა და ომს. მშვიდობით, თქვენც, მამაო, გემშვიდობებით თქვენ, სწორედ თქვენ მკითხეთ (ხუმრობდით!) თუ მქონდა უნარი, რომ მეწამა ნამდვილი ღმერთი.</p> |
| <p>Congedo alla sapienza e congedo all'amore.</p> <p>Congedo anche alla religione. Ormai sono a destinazione. Ora che più forte sento stridere il freno, vi lascio davvero, amici. Addio. Di questo, sono certo: io son giunto alla disperazione calma, senza sgomento. Scendo. Buon proseguimento.</p> | <p>მშვიდობით ცოდნას და მშვიდობით სიყვარულს. მშვიდობით რელიგიასაც.</p> <p>უკვე დანიშნულების ადგილას ვარ. ახლა უკვე უფრო მკვეთრად მესმის მუხრუჭების ჭრიალი. მართლა გტოვებთ, მეგობრებო. მშვიდობით.</p> <p>ერთ რამეში ნამდვილად დარწმუნებული ვარ: რომ მივადწიე მშვიდ სასოწარკვეთილებას, შფოთვის გარეშე. ჩავდივარ. კეთილი მგზავრობა.</p> |

როგორც ვხედავთ, წყაროს დომენის ელემენტებია: მოგზაურობა, მატარებელი, მგზავრები, წითელი მეტალის დისკი, (რომელიც დღეს ჩანაცვლებულია შუქნიშნით; ადრე ამგვარი მეტალის დისკი ანიშნებდა მემან-

ქანეს თავისუფალი იყო გზა თუ ჩაკეტილი: თუ დისკი ლიანდაგის პარალელურად იხსნებოდა, ეს თავისუფალ გზას ნიშნავდა, ხოლო თუ პერპენდიკულარულად - გზა დაკეტილი იყო. აღნიშნული ლექსემა ხმარება-

ში დარჩა მას შემდეგაც, როდესაც წითელი მეტალის დისკი შექნიშანმა ჩაანაცვლა: *il treno e' fermo al disco*, ასევე გამოთქმებში: *disco rosso, disco verde*). ძალიან საინტერესო ხატია ჩემოდანი, ჩემოდანი მოგზაურის აუცილებელი ატრიბუტია, ის მიძიმეა, თუმცაღა მასში ბევრი არაფერია; ყველაფერს, რასაც ასე ყურადღებით ვალაგებთ ჩემოდანში, თავისი საბოლოო დანიშნულების ადგილას მიმავალი პოეტისათვის მნიშვნელობა დაუკარგავს. რაში შეიძლება გამოადგეს ის მოგზაურს ახალ ადგილას? თუმცა მისი დატოვება არ შეუძლია, ეს მისია, მას ეკუთნის, და მასთან ერთად უნდა დატოვოს მატარებელი. ის მას მატარებლის გასასვლელში დგამს და თავს უფრო თავისუფლად გრძნობს.

კაპრონი ამ შემთხვევაში მიმართავს კონცეპტუალური მეტაფორის *ცხოვრება მოგზაურობაა* სქემის გაფართოებას. სქემა - წყაროს დომენის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ცოდნაა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. ცხოვრების შესახებ მოგზაურობის ტერმინებში ლაპარაკი ზოგადად იმიტომ შეგვიძლია, რომ ჩვენი ცოდნა სტრუქტურული ხასიათისაა და ასევე გვაქვს უნარი, რომ მოვახდინოთ პროექცია ამ სტრუქტურირებული ცოდნიდან – წყაროს დომენიდან მიზნის - ცხოვრების – კონცეპტებზე. [3] კაპრონის პოეტური ინდივიდუალურობა იმით ვლინდება, თუ ამ სქემის რომელ ელემენტებს ააქტიურებს ის. სქემის გაფართოების მაგალითია ჩემოდანი, რომელიც მატარებლიდან ჩასასვლელად გამზადებულ პოეტს დერეფანში დაუდგამს.

მეორე ხერხი, რომლის დადგენაც შესაძლებელია, კომბინირებაა, ვინაიდან ამ ლექსში აქტიურდება არა მხოლოდ კონცეპტუალური მეტაფორა *ცხოვრება არის მოგზაურობა*, არამედ სხვა კონცეპტუალური მეტაფორებიც: *სიკვდილი არის მოგზაურობის დასასრული* და *სიკვდილი არის დანიშნულების ადგილას ჩასვლა*: პოეტი თავის დანიშნულების ადგილზე ჩადის და ხედავს თავისი სადგურის წითელ დისკს. მატარებელი ის სატრანსპორტო საშუალებაა, რომელშიც პოეტი მარტო არ არის, მის გვერდით სხვა მგზავრებიც არიან და ისინი აგრძელებენ თავიანთ მოგზაურობას.

ამგვარად, ამ ლექსში კომბინირებულია სამი კონცეპტუალური მეტაფორა: *ცხოვრება არის მოგზაურობა*, *სიკვდილი არის მოგზაურობის დასასრული* და *სიკვდილი არის დანიშნულების ადგილას ჩასვლა*.

ეუჯენიო მონტალეს [1896-1981] ლექსი *Prima del viaggio* („მოგზაურობამდე“, კრებულიდან *Satura* 1962-1970), აქცენტი აქაური მოგზაურობის დეტალებზეა გაკეთებული: დეტალურად მიჰყვება პოეტი იმ რუტინას, რასაც ნებისმიერი მოგზაურობის დროს ვასრულებთ: გაფართოება აქ მიმართულია მოგზაურობის ისეთ დეტალებზე, როგორცაა მარშრუტის არჩევა, განრიგის შესწავლა, სასტუმროში ოთახის შერჩევა ჩვენი მოთხოვნილებების შესაბამისად, ვალუტის გადახურდავება, საპარსის დამატებითი პირის წადება და კიდევ სხვა ყოფითი დეტალი... ბოლოს კი ის შეკითხვას უსვამს თავის თავს: რა იქნება ჩემი მოგზაურობიდან? როგორი იქნება ის?

| | |
|--|---|
| <p>Prima del viaggio</p> <p>Prima del viaggio si scrutano gli orari, le coincidenze, le soste, le pernottazioni e le prenotazioni (di camere con bagno o doccia, a un letto o due o addirittura un flat); si consultano le guide Hachette e quelle dei musei, si scambiano valute, si dividono franchi da escudos, rubli da copechi; prima del viaggio si informa qualche amico o parente, si controllano valigie e passaporti, si completa il corredo, si acquista un supplemento di lamette da barba, eventualmente si dà un'occhiata al testamento, pura scaramanzia perché i disastri aerei in percentuale sono nulla; prima del viaggio si è tranquilli ma si sospetta che il saggio non si muova e che il piacere di ritornare costi uno sproposito. E poi si parte e tutto è OK e tutto è per il meglio e inutile.</p> <p>E ora che ne sarà del mio viaggio? Troppo accuratamente l'ho studiato senza saperne nulla. Un imprevisto è la sola speranza. Ma mi dicono che è una stoltezza dirselo</p> | <p>მოგზაურობის წინ</p> <p>მოგზაურობის წინ ვსწავლობთ განრიგებს, გადაჯდომების შესაძლებლობას, შესვენებებს, ღამისთევებს და ჯავშნებს (ოთახებს აბაზანით ან საშხაპით, ერთსაწოლიანს თუ ორსაწოლიანს, თუ, საერთოდაც, ორადგილიანს); კონსულტაციებს ვიღებთ ჰაშეტისა და მუხეუმის გიდებთან, ვცვლით ვალუტას, ცალცალკე ვინახავთ ფრანკებსა და სკუდოებს, რუბლებსა და კაპიკებს; გამგზავრების წინ ვატყობინებთ რომელიმე მეგობარს ან ნათესავს, ვამოწმებთ ჩემოდნებსა და პასპორტებს, ვღებთ (სხვადასხვა ნივთების) ნაკრებს, ვყიდულობთ საპარსის დამატებით პირს, შესაძლოა, ანდერძაც გადავხედოთ, მაგრამ ეს მხოლოდ ცრურწმენაა, რადგან პროცენტულად უბედური შემთხვევები თვითმფრინავით – ძალიან ცოტაა. მოგზაურობის წინ მშვიდად ვართ, თუმცა ეჭვი გვაქვს, რომ ბრძენი კაცი არ მოგზაურობს და, რომ დაბრუნების სიამოვნება ბევრად უფრო მეტია. შემდეგ მივმგზავრებით და ყველაფერი რიგზეა და ყველაფერი უკეთესობისაკენ მიდის და უაზროა.</p> <p>ახლა კი, რა იქნება ჩემი მოგზაურობიდან? მე ის ძალიან დეტალურად შევისწავლე, მასზე არაფერი ვიცი. ერთადერთი იმედი მოულოდნელობაა. მაგრამ მეუბნებიან, რომ უაზრობაა, საკუთარ თავს ეს უთხრა.</p> |
|--|---|

ამ ლექსის აღქმას, რომ ის ცხოვრებას ეხება, სწორედ კონცეპტუალური მეტაფორის საშუალებით ვახერხებთ, ვინაიდან ჩვენს ცნობიერებაში მყარად არის ფესვგამდგარი კოგნიტიური მეტაფორა *ცხოვრება არის მოგზაურობა*. პოეტი მოგზაურობის აღწერის ასეთი დეტალიზაციით აღწევს იმას, რომ ჩვენ თვალწინ გვიდგება ყველაფერი, რასაც გამზავრებამდე ვაკეთებთ, რაც გვიაქტიურებს მოგზაურობის სქემას და ჩვენს იმპლიციტურ ცოდნას; ჩვენს ცნობიერებაში იმდენად ფესვგამდგარია აღნიშნული კონცეპტუალური მეტაფორა, რომ მიზნის დომენი - მოგზაურობა, ააქტიურებს წყაროს დომენს - ცხოვრებას, რაც ამოსავალია ამ ლექსის გასაგებად.

დასკვნა

ამგვარად, ჯორჯო კაპრონესა და ეუჯენიო მონტალეს ლექსების მაგალითზე კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავადასტუროთ პოეტური

ური კოგნიტიური მეტაფორის პოსტულატი, რომ პოეტური მეტაფორების საფუძველს წარმოადგენს ჩვენს ცნობიერებაში ფესვგამდგარი ბაზისური კოგნიტიური მეტაფორები; ვინაიდან ბაზისური მეტაფორები იქმნება კონცეპტუალურ დონეზე, ისინი შეიძლება იყვნენ გავრცელებულნი ყოველდღიურ ენაში ან რეალიზებულნი პოეტური მეტაფორის სახით. როგორც ლაკოფი და ტერნერი აღნიშნავენ, ბაზისური მეტაფორები არ არიან შექმნილნი პოეტების მიერ, პოეტები თავისებურად ამუშავებენ ბაზისურ მეტაფორებს და შედეგად ღებულობენ ინდივიდუალურ პოეტურ მეტაფორებს.

სიკვდილ-სიცოცხლე და ცხოვრება ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი კონცეპტებია, არსებობს მათი გამომხატველი უამრავი ენობრივი მეტაფორა და ისინი ამ კონცეპტების სხვადასხვა აპექტზე ფოკუსირდებიან, ზოგიერთ მათგანს გამოყოფენ და სხვებს კი „მიჩქმალავენ“.

ჯორჯო კაპრონეს ლექსში პოეტი გაუცნობიერებლად მიმართავს გაფართოებასა და სამ კოგნიტიურ მეტაფორას - ცხოვრება არის მოგზაურობა, სიკვდილი არის მოგზაურობის დასასრული და სიკვდილი არის დანიშნულების ადგილას ჩასვლა. რაც შეეხება ეუჯენიო მონტალეს ლექსს - „მოგზაურობის წინ“, მასში გააქტიურებულია კონცეპტუალური მეტაფორა ცხოვრება არის მოგზაურობა, რასაც ჩვენი იმპლიციტური ცოდნის საშუალებით ვწვდებით.

ლიტერატურა

1. Kövesces Z. (2010): Metaphor. A practical introduction. Oxford University Press
2. Lakoff G. and Johnson M. (1980): Metaphors We Live By. University of Chicago Press
3. Lakoff G. and Turner M. (1986): More than Cool Reason, A Field Guide to Poetic Metaphor. University of Chicago Press
4. Mandalis L. Allegoria e realtà nella poesia di Giorgio Caproni https://www.academia.edu/19048586/Allegoria_e_realt%C3%A0_nella_poesia_di_Giorgio_Caproni?email_work_card=title
5. Treccani: <https://www.treccani.it/vocabolario/disco>

Toward the Poetic Conceptual Metaphor

Maia Javakhidze
Tbilisi State University
Faculty of Humanities
36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel: 599 104 315
E-mail: maiajava@yahoo.com

Abstract

The theory of conceptual metaphor by George Lakoff and Mark Johnson has changed the general

view of metaphor, now we regard it not as the device of the language but as the characteristic of our mind. The given theory explains the “secret” of the poetic metaphor, which is not something extraordinary, but the result of different types of elaboration of the conceptual metaphor. The interesting examples of the conceptual metaphor – LIFE IS A JOURNAY we found in the poetic texts of Italian poets Giorgio Caprone and Eugenio Montale. Both poets in individual manner use the tool of extension and create extraordinary poems.

Keywords:

conceptual theory of metaphor, conceptual metaphor, life is a jounry, Italian poetry.

К поэтической концептуальной метафоре

Джавахидзе Майя Анзоровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 104 315
E-mail: maiajava@yahoo.com

Резюме

Теория концептуальной метафоры Лакофа и Джонсона изменила взгляд на теорию метафоры, которая существовала до этого и показала, что метафора является не языковым явлением, а присуща всему нашему сознанию. Данная теория объясняет нам тайну поэтической метафоры, а именно то, что та неповторимость, которая присуща метафоре поэтического текста, является результатом своего рода переработки базовой концептуальной метафоры. В стихотворении Джорджо Капроне «Прощание церемонного поэта» поэт неосознанно прибегает к расширению концептуальной метафоры и к комбинированию, так как в стихотворении

удаётся выделить три концептуальные метафоры:
Жизнь это путешествие, смерть это конец путешествия и смерть это прибытие в пункт назначения. В стихотворении Эудженио Монтале мы находим интересную переработку метафоры *Жизнь это путешествие.*

Ключевые слова:

метафора, теория концептуальной метафоры,
Жизнь это путешествие, итальянская поэзия.

დიქტატურა მარიო ვარგას ლიოსას შემოქმედებაში

ნინო ჯოხაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 558 781 225
E-mail: niniko.jokhadze@yahoo.com

რეზიუმე

დიდი პერუელი მწერლის, მარიო ვარგას ლიოსას შემოქმედებაში ნათლად არის აღწერილი ლათინოამერიკული დიქტატორული რეჟიმებისათვის დამახასიათებელი სოციალური უსამართლობა, ძალადობა, კორუფცია და ადამიანის განვითარებისათვის შემაფერხებელი ფაქტორები. დიქტატორის შესახებ მისი რომანების მთავარი სათქმელი სხვადასხვა ლათინოამერიკული ქვეყნის დიქტატორული მმართველობის პირობებში არსებული საზოგადოებებისა და თავად დიქტატორების კრიტიკაა. წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება მარიო ვარგას ლიოსას რომანები დიქტატორის შესახებ, სადაც მთავარი პერსონაჟები რეპრესირებული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებული ადამიანები არიან. სწორედ “ინდივიდის წინააღმდეგობის, აჯანყებისა და დამარცხების ელვარე სახეების” დიდი ოსტატობით აღწერისათვის მიენიჭა მწერალს ნობელის პრემია 2010 წელს.

საკვანძო სიტყვები:

მარიო ვარგას ლიოსა, დიქტატორული რეჟიმი, აჯანყებული ინდივიდის მარცხი, გამარჯვებული მეამბოხე.

შესავალი

მარიო ვარგას ლიოსას შემოქმედება ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის დამახა-

სიათებელ დიქტატურას აღწერს. დიქტატორული რეჟიმისა და თავად დიქტატორის ფენომენის სისასტიკისა და დანაშაულებრივი ქმედებების აღწერა ლიოსას საყვარელი თემაა, თუმცა მას ყველაზე მეტად დიქტატორულ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანების აღწერა, რეპრესიული რეჟიმის წინაშე დამარცხებული ადამიანების ტრაგედიების აღწერა ხიბლავს, რათა მკითხველს უფრო ნათლად დაანახოს დიქტატურის საშინელება. სწორედ ამ მარცხის უმაღლესი ოსტატობით აღწერისათვის მიენიჭა მას ნობელის პრემია 2010 წელს – “ძალაუფლების სტრუქტურის კარტოგრაფიისა და ინდივიდის წინააღმდეგობის, აჯანყებისა და დამარცხების ელვარე სახეებისათვის”.

თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი მის რომანებში დიქტატორის შესახებ*, ლიოსა გვიჩვენებს თუ რა არის დიქტატორის ძალაუფლება და რა შედეგები მოაქვს საზოგადოებისათვის ამ ძალაუფლების განხორციელებას, გვიჩვენებს თუ როგორ წინააღმდეგობას სწევს ინდივიდი დიქტატორული რეჟიმის პირობებში, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინდივიდის აჯანყებას და რატომ მარცხდება ამბოხებული ინდივიდი. მის რომანებში დიქტატორის შესახებ, განსაკუთრებით მკაფიოდ შეგვიძლია დავინახოთ სწორედ რომ აჯანყებული ინდივიდების “ელვარე სახეები”.

ნაშრომში განხილული იქნება მარიო ვარგას ლიოსას რომანები დიქტატორის შესახებ: “საუბარი კათედრალში” (1969), “ვაცის ნადიმი” (2000), “ხუთი კუთხე” (2016) და “მძიმე დროება” (2019).

* სუბუანრი, რომელიც 1970-იან წლებიდან დამკვიდრდა ლათინოამერიკული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც კონტინენტისთვის დამახასიათებელი მანიფესტაციური თხრობა

ძირითადი ნაწილი

რომანში “საუბარი კათედრალში”, მარიო ვარგას ლიოსა აანალიზებს ძალაუფლების ფსიქიკურ მექანიზმებს, რომლებიც გამოყენებულია ამ ძალაუფლების განხორციელებისა და ინდივიდების დამორჩილების მიზნით.

ეს არის გენერალ მანუელ აპოლინარიო ოდრიას (1948-1956) დიქტატურის პირდაპირი კრიტიკა. რომანი გვიჩვენებს იმდროინდელი პერუს საზოგადოების ლიოსას მიერ დანახულ სახეს, სისტემას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო თავისუფლების შეზღუდვა, პოლიტიკური დევნა, კორუფცია, დისკრიმინაცია, სოციალური და რასობრივი ცრურწმენები და ა.შ.

რომანის მთავარი ღერძი ორი მთავარი გმირის, მმართველ ძალასთან დაახლოებული ოლიგარქის, ფერმინ სავალას შვილის, სანტიაგო სავალასა და მისი მამის ყოფილი მძღოლის, სამბო ამბროსიო პარდოს საუბარია, რომელშიც სანტიაგო მამის შესახებ არსებული საიდუმლოს გარკვევას ცდილობს.

ცხოვრების ყველა ეტაპზე იმედგაცრუებული სანტიაგო სვამს მთავარ კითხვას – როდის მოელო ბოლო პერუს? რომანის მთავარი გმირი ცდილობს პასუხი იპოვოს დასმულ კითხვაზე. იგი დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვის. სანტიაგოს მოსდის იდეა, რაც რომანის მთავარ იდეას წარმოადგენს და რაც განსაზღვრავს გმირის შემდგომ ცხოვრებას. იგი ირჩევს ჩვეულებრივი ჟურნალისტის, წარუმატებელი, დამარცხებული ადამიანის ცხოვრებას, უარს ამბობს მამის მემკვიდრეობასა და ელიტარულ ცხოვრებაზე, რაც ავტორიტეტულად ნიშნავს ბედნიერებაზე უარის თქმას. სანტიაგო უბედურია და უბედურია პერუც, რომლის პესიმისტურ გამოხატულებასაც რომანის მთავარი გმირი წარმოადგენს. სანტიაგო სავალა ლიოსას შემოქმედებისთვის დამახასიათებელი გმირების მსგავსად ამბოხებული, მაგრამ დამარცხებული გმირია. იგი ხვდება, რომ უძღურია რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა-

ში, უარს ამბობს პოლიტიკური საკითხების გაშუქებაზეც კი, მაგრამ მისი მცდელობები წინ აღუდგეს მისთვის საძულველ დამყარებულ სისტემას კვლავ ძალაში რჩება. სანტიაგო თავისი სტატიებით ახალგაზრდა მეამბოხეებს ასულდგმულებს [Llosa 2017].

რომანი იმ მორალური კორუფციისა და პოლიტიკური რეპრესიების უხეში პორტრეტია, რასაც ადგილი ჰქონდა პერუში გენერალ მანუელ ოდრიას დიქტატორული მმართველობის პერიოდში. *“ოდრია დიქტატორი და მკვლელია, ოდრია ყველაზე საშინელი ტირანია პერუს ისტორიაში”* [ლიოსა 2019:96] – ამბობს სავალა. უნდა აღვნიშნოთ, რომ გენერალი ოდრია, მუდმივად არის ნახსენები რომანში, თუმცა როგორც პერსონაჟი, ის არ ჩანს. რომანში სისტემის მთავარი ფიგურა კაიო ბერმუდესია (Cayo Mierda), რომელიც ოდრიას მთავრობის ხელმძღვანელის, ალფონსო ესპარსა სანიარიტუს პროტოტიპია. სახელმწიფო აპარატის უფროსი კაიო ბერმუდესი ოდრიას მარჯვენა ხელსა და მის მეორე “მეს” წარმოადგენს, რომელიც მისი ინტერესების მკაცრი დამცველია. იგი დევნის, აპატიმრებს და აწამებს მოწინააღმდეგეებს. მის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყება ბერმუდესის გადადგომით სრულდება. იგი ტოვებს ლიმას, თუმცა რომანის ბოლოს მკითხველი იგებს, რომ ბერმუდესი ლიმაში ბრუნდება, რაც შესაძლოა ლიოსას ერთგვარ მინიშნებად აღვიქვათ, რომ პერუ ბოლომდე ვერ თავისუფლდება რეპრესიული დიქტატორული რეჟიმისაგან. საზოგადოების მცდელობა შეცვალოს აღნიშნული რეალობა, უშედეგოა, რადგან პოლიტიკური ცვლილებები მხოლოდ დიქტატორების ჩანაცვლებაში გამოიხატებოდა და არა დამყარებული ძალადობრივი სისტემის შეცვლაში.

ლიოსა რომანის მეშვეობით გვიჩვენებს როგორც კონკრეტული ინდივიდების, ასევე ზოგადად საზოგადოების ტრაგედიას. არ აქვს მნიშვნელობა თუ რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის დიქტატორულ სისტემაში

მცხოვრები ადამიანი, ყველა შემთხვევაში ის არის შეზღუდული, რეპრესირებული და კორუფციული სისტემის მსხვერპლი.

ნაწარმოებში ოსტატურადაა გამოსახული ჯვარედინი ისტორიები და ინტელექტუალური დიალოგები. ლიოსა დრმად გვახედებს “კორუფციის მანქანაში”, რომელიც ზურგს უმაგრებს დიქტატურას, იწვევს პოლიტიკური ლიდერების დაუდევრობას, მოქალაქეების უუნარობას, დემოკრატიული კულტურის ნაკლებობას და საზოგადოებას აქცევს მძინარე მასად, რომელიც პოლიტიკური კლასის მხრიდან განხორციელებულ ზეწოლას უსიტყვოდ ეგუება.

რომანის “საუბარი კათედრალში” შემდეგ, ლიოსა მხოლოდ 2000 დაუბრუნდა რომანს დიქტატორის შესახებ. “**ვაცის ნადიმის**” შემთხვევაში, მწერალი აღწერს დომინიკის რესპუბლიკის გენერლის, რაფაელ ლეონიდას ტრუხილიო მოლინას (1930-1938, 1942-1952), “ვაცის” დიქტატურას და მისი მკვლელობის შეთქმულებას.

რომანში სამი ისტორია კვეთს ერთმანეთს. პირველი მოგვითხრობს დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებული ურანია კაბრალის ისტორიას, რომელიც არის გრძელი ინტროსპექცია და იმ ფაქტებისა და მოვლენების გახსენება, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მისი დომინიკის რესპუბლიკაში ცხოვრების პერიოდში. სანტიაგო სავალას მსგავსად, ურანია პროტესტს გამოხატავს საკუთარი მამის, აუგუსტინ კაბრალის მიმართ, რომელიც ტრუხილიოს მთავრობის მნიშვნელოვანი წევრი იყო. იგი ფარდას ხდის საიდუმლოს, რომლის გამოც ქვეყანა დატოვა. მამამ მოზარდი ქალიშვილი დიქტატორის ნდობის მოსაპოვებლად მსხვერპლად გაიღო, იგი გენერალ ტრუხილიოს მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა. აღნიშნულმა ფაქტმა ურანიას მთელი ცხოვრების მანძილზე მოუშუშებელი ტრიალობა დაუტოვა. იგი წარმატებული ქალი გახდა, თუმცა მოზარდობაში გადატანილი

ტრამვის გამო პირადი ურთიერთობების დამყარება არ შეუძლია. სწორედ ამიტომ, მისთვის შეუძლებელია რეჟიმის მიერ ჩადენილი სისასტიკეების დაიწვევა [Llosa 2017].

მეორე და მესამე ისტორიებს ადგილი აქვთ ტრუხილიოს მკვლელობამდე რამოდენიმე კვირით ადრე, თავად ტრუხილიოს მკვლელობის დღეს და შემდგომ პერიოდში. თხრობის ხაზი, რომელიც მკვლელობას ეხება, ოთხი შეთქმულის ისტორიას მიჰყვება, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ტრუხილიოს მკვლელობაში. შეთქმულების თითოეული წევრი განიცდიდა თავდასხმას ტრუხილიოს რეჟიმის მხრიდან, რაც წამებაში, ოჯახის წევრის მკვლელობაში, საყვარელ ადამიანთან დაშორებაში და ა. შ. გამოიხატებოდა. “*ვაცმა ადამიანებს ის წმინდა უფლება წაართვა, მხოლოდ უფალი რომ ანიჭებს: თავისუფალი ნება*” [ლიოსა 2016:216] – ამბობს ესტრელია სადილას (თურქი) პერსონაჟი.

მესამე ისტორია ფოკუსირებულია ტრუხილიოს ცხოვრების ბოლო დღეებზე, მის უკანასკნელ წამებზე, სადაც იგრძნობა ავტორის შურისძიება. აქ გამოყენებულია ტელეგრაფული სტილი, ძალიან მოკლე წინადადებები, უემოციო, ზუსტი ტერმინები. ვაცთან დაკავშირებული თავები იხსენებს მის ინტიმურ წრეს და მისი დროის თვალსაჩინო მოვლენებს. ლიოსა საკუთარი პერსპექტივიდან წარმოგიდგენს დიქტატორს და ავლენს მის ბნელ, ინტიმურ საიდუმლოებს. ტრუხილიო ებრძვის სიბერეს, ენურეზსა და იმპოტენციას. იგი ძალადობს ქალებსა და გოგონებზე, რაც მისი პოლიტიკური და სექსუალური ძალაუფლების გამოხატულებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ტრუხილიოს თავისი წრის მრავალი ჩინოვნიკის მეუღლესთან აქვს სექსუალური კავშირი, მათი უმრავლესობა მას ბრმად ენდობა. რომანში ნაჩვენებია ასევე დიქტატორ ტრუხილიოს კულტი. მიუხედავად იმისა, რომ მისი მკვლელობით ტირანია დასრულდა, საზოგადოე-

ბისტოვის ეს ტრაგედიაა, რადგან მათთვის დიქტატორის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია.

წიგნის თითოეული ასპექტი დომინიკის რესპუბლიკის სოციალური და პოლიტიკური გარემოს განსხვავებულ შეხედულებებს ავლენს, როგორც წარსულში, ისე აწმყოში. რომანი დიქტატორული ძალაუფლების პორტრეტია, დიქტატურისა, რომელიც გულისხმობს ფსიქოლოგიურ ეფექტებსა და გრძელვადიან გავლენას. ნაწარმოების თემები მოიცავს მკაცრად იერარქიულ საზოგადოებაში არსებული ძალაუფლებისა და კორუფციის კავშირს მანიჰიმსა და სექსუალურ გადახრებთან.

შემდეგი რომანი დიქტატორული საზოგადოების შესახებ **“ხუთი კუთხეა”**. რომანის ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი ალბერტო ფუხიმორის დიქტატურის (1999-2000) პერიოდს შეესაბამება პერუში. რომანში აღწერილია სენსაციური ჟურნალისტიკა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფუხიმორის დიქტატურაში, იმ თვალსაზრისით, რომ რეჟიმი მუდმივად იყენებდა სენსაციურ პრესას საკუთარი ძალაუფლების გაგრძელებისა თუ განმტკიცების მიზნით, განსაკუთრებით ოპოზიციის წინააღმდეგ.

პერუს მდიდარი სოციალური კლასი ნაწარმოებში წარმოდგენილია ორი მეგობრის, ენრიკესა და ლუჩიანოს ოჯახის სახით, რომელთა მეუღლეებს შორისაც სასიყვარულო კავშირი მყარდება. მმართველი სისტემისათვის ეკონომიკური ძალაუფლების, სოციალური გავლენისა და საერთაშორისო კავშირების გარანტი მაღალი სოციალური კლასი დიქტატურასთან მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, ტერორიზმისა და შანტაჟის მსხვერპლი ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ რომანის “საუბარი კათედრალში” მსგავსად, ნაწარმოებში “ხუთი კუთხე” დიქტატორი ფუხიმორი წარმოდგენილია არა პერსონაჟის, არამედ მისი მმართველობის პერიოდში აღწერილი

პერუს სახით. დიქტატორულ რეჟიმს რომანში ფუხიმორის მარჯვენა ხელი, “დოქტორი” გამოხატავს, რომელიც პერუს სადაზვერვო სამსახურის უფროსის, ვლადიმერო მონტესინოსის პროტოტიპია. ნაწარმოებში კარგად ჩანს “დოქტორის” ძალაუფლება და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სიმძიმე, რაც აფერხებს ქვეყნის განვითარებას და ხელს უწყობს ქვეყანაში კრიმინალის ზრდას. *“ჩვენი ქვეყანა, დოქტორისა და მისი თანამშრომლების, პრეზიდენტი ფუხიმორის წყალობით, ამერიკის კონტინენტზე ბანანის რესპუბლიკად იქცა”* [ლიოსა 2017:247] – ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი. ჟურნალისტ გაროსთან თანამშრომლობის საშუალებით “დოქტორი” ტაბლოიდური ჟურნალისტიკის ძალას საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, ბისტოვის არასასურველი პირების გასანადგურებლად იყენებს.

რომანის გამოკვეთილი პერსონაჟია ხულიეტა ლეგისამონი, მეტსახელად რეტაკიტა, რომელიც თავისი ბრძოლისუნარიანობით “ვაცის ნადიმის” ერთ-ერთ პერსონაჟს, ურანიას გვაგონებს. თავისუფალი და პრინციპული რეტაკიტა მარცხდება, მას დიქტატურა იმორჩილებს, თუმცა მისი წინამორბედი რედაქტორის, გაროსაგან განსხვავებით, იგი არ დალატობს საკუთარ პრინციპებს. რეტაკიტა ფარულ ბრძოლას თავად “დოქტორის” წინააღმდეგ იწყებს. რომანის ბოლოს, სწორედ რეტაკიტას მიერ გამოქვეყნებული კომპრომატების საშუალებით ვლინდება დიქტატორ ფუხიმორისა და მისი მარჯვენა ხელის, “დოქტორის” დანაშაულებრივი ქმედებები. რეტაკიტა საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს, მაგრამ ამხელს და საბოლოოდ ამარცხებს მმართველ სისტემას.

რომანი “ხუთი კუთხე” გარკვეული აზრით, ლიოსას შურისძიებად იყო აღქმული ფუხიმორის წინააღმდეგ, რადგან სწორედ ფუხიმორისთან დამარცხდა მწვერალი პერუს საპრეზიდენტო არჩევნებში 1990 წელს. ავტორის სხვა ნაწარმოებების მსგავსად რომანში

ნაჩვენებია პერუს სოციალურ-ეკონომიკური სურათი, პერუელი ხალხის რეალური სახე და დიქტატორული საზოგადოების მანკიერი მხარეები. ნაწარმოებში აღწერილია დიქტატორული მმართველობით გამოწვეული მძიმე შედეგები: კორუფცია, ძალადობა, შიში, შანტაჟი, ტერორიზმი, ადამიანთა გატაცება, უსამართლობა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უგულებელყოფა და მათი უხეში რღვევა.

მარიო ვარგას ლიოსას ბოლო რომანი დიქტატურის შესახებ, **“მძიმე დროება”** მოგვითხრობს გვატემალას უახლესი ისტორიის რამდენიმე მნიშვნელოვან ეპიზოდზე. ავტორი მოგვითხრობს იმ პოლიტიკური ევოლუციის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში და მიუთითებს იმ მიზეზებზე, რამაც აღნიშნულ რეგიონში დემოკრატიული აზრების კონსოლიდაციის შეფერხება გამოიწვია. ლიოსა თავის სტილს არ დალატობს და წარმოგვიდგენს რამდენიმე ურთიერთგადამკვეთ ისტორიას, რომლებიც დროდადრო წყდება და მკითხველი მხოლოდ რომანის დასრულების შემდეგ იღებს საბოლოო სურათს.

რომანის ცენტრალური თემაა ერთი მხრივ, ტრუხილიოს როლი დიქტატორ კარტილიო არმასის (1954-1957) მიერ მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებაში პრეზიდენტ ხაკობო არბენსის (1951-1954) წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი თავად კასტილიო არმასის მკვლელობის შეთქმულებაში მისი აქტიური მონაწილეობა.

გვატემალას თავისუფალ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ხაკობო არბენსის მთავრობის ცენტრალურ იდეას აგრარული რეფორმა წარმოადგენდა, რომელიც მიუღებელი იყო შავი ზღვის მიდამოებში დაბადებული და შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციაში წასული სემურაის მონოპოლიური კომპანიისათვის. სემურაი კომპანიის საზოგადოებასთან

ურთიერთობის მენეჯერის, ბერნაისის დახმარებით, პროპაგანდისა და ყალბი ინფორმაციის გავრცელების გზით, ხაკობო არბენსის წინააღმდეგ სამხედრო გადატრიალების მომზადებაში იღებს მონაწილეობას მის მიერ დაანონსებული აგრარული რეფორმის თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნულ აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ღომინიკის რესპუბლიკის დიქტატორი რაფაელ ტრუხილიო. შეთქმულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აბეს გარსია, ტრუხილიოს სადაზვერვო სამსახურის უფროსი, რომელიც დიქტატორ არმასის მკვლელობის ღამეს, მის მეგობარ ქალთან ერთად ტოვებს გვატემალას [Llosa 2019].

აღსანიშნავია ლიოსას მიერ დახატული ხაკობო არბენსის პერსონაჟი. მისი მცდელობა ქვეყანა დემოკრატიის გზით განავითაროს, კრახით სრულდება. საკუთარ თავში რწმენის ნაკლებობისა თუ დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით არბენსი თანამდებობიდან მიდის და 1954 წელს გვატემალაში კვლავ დიქტატურა მყარდება. ლიოსა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ლათინურ ამერიკაში დემოკრატიული სისტემის დამყარებას არა მხოლოდ დამყარებული რეჟიმები აფერხებდნენ, არამედ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მონოპოლიური კომპანია, მსხვილი პოლიტიკური ფიგურის თუ ბიზნესმენის პირადი ინტერესები ან სხვა ქვეყანაში დამყარებული დიქტატორული რეჟიმი. ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ლათინურ ამერიკაში მოდვაწე ბიზნესმენებისა თუ პოლიტიკური წრეებისათვის მიუღებელი იყო დემოკრატიული სისტემა, რადგან შეგუებულები იყვნენ გაბატონებულ რეჟიმს და ცვლილება დემოკრატიისაკენ მათ საქმიანობას საფრთხეს შეუქმნიდა [Nogales 2019].

“მძიმე დროება” არის დოკუმენტრებული ისტორიული რომანი, სადაც ოსტატურად ერწყმის ერთმანეთს გამოგონილი და ისტორია, თავგადასავალი და მელოდრამა.

რომანი საინტერესოა რთული სტრუქტურით, სივრცეში და დროში გადახტომებითა და გაუთვალისწინებელი მოვლენებით.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ განხილულ რომანებში ლიოსა სხვადასხვა ჭრილში გვიჩვენებს დიქტატურას. რომანში “საუბარი კათედრალში” იგი აღწერს ოდრიას დიქტატურას და მისი რეჟიმისთვის დამახასიათებელ კორუფციას. აქცენტი გადატანილია რეჟიმის უარყოფით მხარეებსა და დანაშაულებრივ ქმედებებზე, თავად დიქტატორი კი როგორც პერსონაჟი არ ჩანს, განსხვავებით “ვაცის ნადიმისაგან”, სადაც ერთ-ერთ ისტორიად დიქტატორ ტრუხილიოს ბოლო დღეებია აღწერილი, ამ ისტორიაში მკითხველი დიქტატორის ფიქრებისა და ქმედებების თანამოზიარება, თუმცა დიქტატორად და სასტიკ მმართველად ტრუხილიოს მისი მკვლელობის შეთქმულებაში მონაწილე პირების მიერ გახსენებული ისტორიების საშუალებით აღვიქვამთ. ნაწარმოებში “ხუთი კუთხე”, ფუხიმორის დიქტატორული მმართველობის მძიმე შედეგებზეა გამახვილებული ყურადღება, თუმცა დიქტატორი არ არის ნაწარმოების პერსონაჟი. რაც შეეხება “სასტიკ ხანას”, აქ ლიოსა დიქტატურას აღწერს, როგორც დაპირისპირებას, რომელიც მიმართულია დემოკრატიული წყობის დამკვიდრების წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი კონკრეტული დიქტატორის აღწერით, ავტორი მკითხველს წარმოდგენას უქმნის დიქტატორის ფენომენზე, ყველა არსებულ დიქტატორზე და მათ მიერ დამყარებულ რეჟიმებზე.

ზემოთ ხსენებულ ნაწარმოებებში ლიოსა ნათლად გვიხატავს ძალაუფლების სხვადასხვა სახის გამოვლინებებს საზოგადოებაში და მის სავალალო შედეგებს. მწერალი გვიჩვენებს თუ რას ნიშნავს სისტემის წი-

ნააღმდეგ ბრძოლა და ამ ბრძოლაში დამარცხება. მისი გმირები, სანტიაგო სავალა, ურანია კაბრალი, რეტაკიტა თუ პრეზიდენტი ხაკობო არბენსი, წინააღმდეგობას უწევენ დამკვიდრებულ დიქტატორულ რეჟიმს, თუმცა მარცხდებიან. ლიოსას სურს დაგვანახოს სწორედ ამ აჯანყებისა და მარცხის მნიშვნელობა. მწერლისთვის აჯანყება, წინააღმდეგობის გაწევა, თავისთავად გულისხმობს გამარჯვებას, მაშასადამე დამარცხებული გმირები გამარჯვებულები არიან.

აჯანყება, უარყოფა და კრიტიკა ლიოსას ლიტერატურული შემოქმედების მკვეთრად დამახასიათებელი ნიშნებია. მწერალს მიაჩნია, რომ ლიტერატურა არის მუდმივი ამბოხი უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს თვალი გაუსწოროს რეალობას, თავი აარიდოს ტყუილში ცხოვრებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უჩენს სურვილს იბრძოლოს უსამართლობის წინააღმდეგ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამარჯვების შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს.

ლიტერატურა

1. ლიოსა მ. ვ. (2016): “ვაცის ნადიმი”. ინტელექტი. თბილისი
2. ლიოსა მ. ვ. (2019): “საუბარი კათედრალში”. ინტელექტი. თბილისი,
3. ლიოსა მ. ვ. (2017): “ხუთი კუთხე”. ინტელექტი. თბილისი,
4. Llosa M. V. (2019): “Tiempos Recios”. ALFAGUARA. Madrid
5. Llosa M. V. (2017): UChicago Division of the Humanities. Mario Vargas Llosa, “The Feast of the Goat,” Lecture 4 of 4, 05.15.17. 19.05
https://www.youtube.com/watch?v=7g9cO_Qg70s
6. Llosa M. V. (2017): University of Chicago Division of the Humanities. Berlin Family Lectures

with Mario Vargas Llosa “The Writer and His Demons” Lecture Two: “Conversation in the Cathedral”

<https://www.youtube.com/watch?v=jBORdRfSB5A>

7. Nogales M. J. L. (2019): “Vargas Llosa y las dictaduras en América Latina”, Zendalibros.com

https://www.zendalibros.com/vargas-llosa-y-las-dictaduras-en-america-latina/?fbclid=IwAR0mcGgMCmnWqxCWciu1uD75_pyRownnKngrsVgzFU-QxcMlmqZqh6vjRKg

Dictatorship in Mario Vargas Llosa’s Creative Works

Nino Jokhadze

Tbilisi State University

Faculty of Humanities

36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel: 558 781 225

E-mail: niniko.jokhadze@yahoo.com

Abstract

The literary art of the great Peruvian writer Mario Vargas Llosa clearly describes social injustices, violence, corruption and barriers that impede human development inherent in Latin American dictatorial regimes. The main message of his dictator novels is the critique of the societies and dictators themselves under the dictatorial rule which took place in various Latin American countries. This article will discuss Mario Vargas Llosa’s dictator novels, where the main characters are rebellious people against repressive regime. The author was awarded the Nobel Prize in 2010 for his masterful description of the “trenchant images of the individual’s resistance, revolt and defeat”.

Keywords:

Mario Vargas Llosa, dictatorial regime, defeat of a rebellious individual, victorious rebel.

Диктатура в творчестве Марио Варгаса Лиосы

Джохадзе Нино Омаровна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел .: 558 781 225

E-mail: niniko.jokhadze@yahoo.com

Резюме

Творчество великого перуанского писателя Марио Варгаса Лиосы ясно описывает социальную несправедливость, насилие, коррупцию и препятствия на пути человеческого развития, присущие диктаторским режимам в Латинской Америке. Главный посыл его романов о диктаторе - критика обществ и самих диктаторов в условиях диктаторского правления различных латиноамериканских стран. В этой статье речь пойдет о романах Марио Варгаса Лиосы о диктаторе, где главными героями являются люди, восставшие против репрессированного режима. В 2010 году автор был удостоен Нобелевской премии за мастерское описание “яркие картины человеческого сопротивления, восстания и поражения”

Ключевые слова:

Марио Варгас Лиоса, диктаторский режим, поражение мятежного индивида, победа мятежника.

ავტორები

- ციური ახვლედიანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი
- ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი
- მარინე კობეშავიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის ასოცირებული პროფესორი
- ნინო ჭრიკიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- მაია ჯავახიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულება, ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს უნივერსიტეტი, ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ნინო ჯოსაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დოქტორანტი
- ხათუნა წიკლაური** – საქართველოს უნივერსიტეტი, ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ქურნალის რედკოლეგია

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- ვიოლა ფურცელაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბებიტოვა** – ვერაზის გუმილიოვის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
- მარია მიხაილვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი
- სიღვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუმას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუმას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ყუფარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

Редколлегия журнала

- Майя Чхеидзе** – Грузинский университет, руководитель департамента европейских языков и филологии, доктор филологических наук, профессор
- Русудан Табукашвили** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор
- Виола Пурцеладзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор
- Ия Чиквинидзе** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, ассоциированный профессор
- Ганс Руддигер Флук** – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор
- Кульпаш Бейбитова** – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук
- Таня Грисхаммер** – Магистр филологии (DAAD)
- Кетеван Габуния** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, руководитель направления романской филологии, профессор
- Мария Михайлова** – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)
- Сильвия Ботева** – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор
- Татьяна Мегрелишвили** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, доктор филологических наук, профессор
- Альба Грациано** – Университет г. Туша (Италия), директор центра языков, профессор
- Алессандра Спадафора** – Университет г. Туша (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков
- Георгий Купарадзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор
- Русудан Гоциридзе** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор, ассоциированный член Оксфордского Университетского Общества

Scripta manent

Editorial board

Maia Chkheidze – Head of the European Languages and Philology Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Professor

Rusudan Tabukashvili – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Professor

Viola Purzeladze – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Associated Professor

Hans Rudiger Fluck – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Ketevan Gabunia – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Direction in Romanian Philology, Academic Doctor of Philology, Professor

Maria Mikhailova – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

Sylvia Boteva – Sofia's University of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Department of foreign languages, Doctor of Philological Science, Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Associated Professor

Georgi Kuparadze – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Academic Doctor of Philology, Associated Professor

Rusudan Gotsiridze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, professor, the associate member of Oxford's University Society